ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 9 ივლისი, 2020 №146 (8410) ფასი: 60 თეთრი

ნიკა გვარამია: „შაქარაშვილის ცხედარი შესაძლოა იმ ფერად შენობაში დაემალათ, რომელიც მერე გადაწვეს“

გვ.5

ავთანდილ ბილანიშვილი გამოკითხვაზე დაიბარეს

თაკო ჩარკვიანი: „გია ბარამიძეს ვურჩევ, ტონალობა შეცვალოს“

გვ.2

„ნაციონალური მოძრაობის შიგნით ბევრი არ ემხრობა, რომ ცალკე გავიდნენ, ვნახოთ, რომელი მხარე გადაწონის“

გვ.3

„კალაძე ივანიშვილისგან გამოყოფას დღეს ვერ გაბედავს“

გურამ ჩალაგაშვილი: „ოქტომბრის არჩევნებს ოპოზიცია მოიგებს“

„ხელისუფლების შიგნით სერიოზული დაპირისპირებაა, ამას უკვე ყველა თვალნათლივ ვხედავთ. ის, რომ აქამდე ჰყავდათ 73 მაჟორიტარი და ახლა არის 30, უფრო ზრდის დაპირისპირებას შიგნით“

„ჩვენ ვებრძვით ივანიშვილს, სააკაშვილსა და ხაზარაძეს“

გედევან ფოფხაძე: „ქართულ ოცნებასთან“ მხოლოდ იმიტომ, რომ „ნაცები“ უარესები არიან და მართლაც არიან უარესები, ვერ ვიქნები. ესენიც კორუმპირებულები არიან და ისინიც კორუმპირებულები იყვნენ“

გვ.3

ანზორ აბრალავა: „საქართველოში კოალიციის შექმნას ხელოვნური ხასიათი აქვს“

გვ.4

ISSN 1987-9385

5 „30 წლის კაცმა მამას და პაპას ყელი გამოჭრა და მეზობლის მანქანით გაიქცა“

2 საქართველომ საზღვრები გერმანიას, საფრანგეთს, ლატვიას, ლიეტუვას და ესტონეთს გაუხსნა

5 გაუპატიურების მცდელობისთვის დაცვის თანამშრომელს 6 წელი მიესაჯა

6 აშშ-მ შესაძლოა უკრაინას სამხედრო დახმარება გაუზარდოს

თაკო ჩარკვიანი: „გია ბარამიძეს ვურჩევ, ტონალობა შეცვალოს“

„ნაციონალური მოძრაობის შიგნით ბევრი არ ემხრობა, რომ ცალკე გავიდნენ, ვნახოთ, რომელი მხარე გადაწონის“

იაგო ნაცვლიშვილი

გარკვეული დაძაბულობაა გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ ფორმატში. როგორც ირკვევა, ნაციონალური მოძრაობის ნაწილს არჩევნებზე დამოუკიდებლად უნდა გამოსვლა და არ ემხრობა იდეას, რომ „ძალა ერთობაშია“-ს ფორმატში მიიღოს მონაწილეობა.

რა დისკუსიაა გაერთიანებულ ოპოზიციაში, რაზე შეთანხმდნენ და უკავშირდება თუ არა ეს მიხეილ სააკაშვილის სურვილებს? — ამ და სხვა საკითხებზე ამ თემის ირგვლივ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ძალა ერთობაშია“-ს ერთ-ერთი სუბიექტის, პარტია „კანონი და სამართალის“ ლიდერი თაკო ჩარკვიანი საუბრობს.

– რა ხდება გაერთიანებულ ოპოზიციაში. „ძალა ერთობაშია“ ბლოკის სახით გამოხვალთ არჩევნებზე თუ ცალ-ცალკე პარტიების სახით მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას?

– გუშინ გვქონდა შეხვედრა და ნაციონალურმა მოძრაობამ თავად ითხოვა დრო. იმიტომ, რომ მათ ხელი აქვთ მოწერილი წესდებაზე. სხვათა შორის, ეს წესდება ჩემამდე შედგა. იცით, რომ როგორც მე-12 პარტია, ჩვენი პარტია „კანონი და სამართალი“ ამ გაერთიანებას გვიან შეუერთდა. ჩვენ შესვლამდე ამ გაერთიანებაში შედგა წესდება და პარტიებს ამაზე ხელი აქვთ მოწერილი. ბუნებრივია და აბსოლუტურად ლეგიტიმურია ის, რომ პარტიები ითხოვენ იმ წესდების შესრულებას, რაც იქ წერია და კითხულობენ, რა ხდება ამ თვალსაზრისით.

– რა წერია წესდებაში?

– ისინი არიან ამ პროცესის მონაწილეები და მათი გადასაწყვეტია, რა წერია. „ძალა ერთობაშია“-ს შეთანხმება წესდებით არსებობს. შეგიძლიათ ნახოთ ოფიციალურ დოკუმენტში, მე რამე ინტერპრეტაციით რომ არ ვთქვა.

– ანუ წესდების თანახმად გაერთიანებული ოპოზიცია ერთჯერადად არ უნდა ყოფილიყო გაერთიანებული და საპარლამენტო არჩევნებისთვის უნდა ყოფილიყო სწორება?

– რა თქმა უნდა. არჩევნებზე და საარჩევნო საკითხებზეა ლაპარაკი. აბა როგორ?!

ბუნებრივია, რეაქცია იყო ამასთან დაკავშირებით. ეს არ ხდება ჩხუბის დონეზე ან თუნდაც კამათის დონეზე. იკითხეს ადამიანებმა ელემენტარულად. ჩემ კანდიდატურას მაჟორიტარად ერთხმად ყველამ მხარი დაუჭირა „ძალა ერთობაშია“-ს ფორმატში. მათ თქვეს, რომ ისინი თავისი მხრიდან მხარს უჭერენ ამას.

ნაციონალური მოძრაობა შეკრებაზე ვერ მოვიდა, იმის წინ ვერ მოვიდა... რა გავაკეთოთ?

– ანუ რამდენიმე შეხვედრა გქონდათ გაერთიანებული ოპოზიციის ფორმატში და ნაცმოძრაობა არ დაესწრო ამ შეხვედრებს?

– დიახ, რა თქმა უნდა. დაუჭირეს მხარი მათ ჩემ კანდიდატურას და მერე ლეგიტიმური კითხვები გამოითქვა გარკვეული ადამიანების. ნახეთ თქვენ ინტერვიუები. ნიკა მელიამ გამოაცხადა, რომ ორი მანდატი გვინდა ნაციონალებს და მეტი არაო. ეს იყო მათი პარტიიდან. ეს თქვა ბატონმა გრიგოლ ვაშაძემ, რომ მელიამ ნაციონა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ვატო შაქარიშვილი: „კალაძე ბეჯითად აგრძელებს ნაციონალების სტილითა და მიდგომებით მართვას!“

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის, ვატო შაქარიშვილის შეფასებით, ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფო მოტივირებული იყოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ზრდასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე, დედაქალაქის მერის გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სფეროს სრულად კომერციალიზაციას.

ამ განცხადებით შაქარიშვილი გამოეხმაურა დედაქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებას, რომ პოლიკლინიკები, რომლებიც რეაბილიტაციას საჭიროებენ, გასხვისდეს.

საკრებულოს წევრის თქმით, ჯანდაცვის სფერო ყველა მიმართულებით რამდენიმე ბიზნეს-ჯგუფის ხელშია მოქცეული.

– დღეს ჯანდაცვის სფერო მისი ყველა მიმართულებით, ეს იქნება კლინიკები, სადაზღვევო კომპანიები, ფარმაცევტული კომპანიები და ა.შ., მოქცეულია სულ რამდენიმე ბიზნესჯგუფის ხელში. მათ შორის კი დომინირებს კომპანია „ევექსი“, რომელიც არის „საქართველოს ბანკის“ კორპორაციის შემადგენლობაში, რაც თავშივე დაუშვებელია, რადგან ბანკებს ეზღუდებათ არაპროფილურ ბიზნესში ოპერირება.

ეს პრინციპი თვალსაჩინოდ ირღვევა „საქართველოს ბანკის“ შემთხვევაში, როდესაც ის ერთდროულად ფლობს და მართავს ფარმაცევტულ კომპანიებს, სადაზღვევო კომპანიებს და ამავდროულად კლინიკებს.

ამ ფონზე, ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფო მოტივირებული იყოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ზრდასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე, მერის გადაწყვეტილებით, დამატებით უნდა მოხდეს მუნიციპალური პოლიკლინიკების პრივატიზება, რაც ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სფეროს სრულად კომერციალიზაციას.

მოსახლეობა ვეღარ ასხვავებს, ბანკში მიდიან თუ ჯანდაცვის დაწესებულებაში, რადგან ყველგან ჭარბობს ფინანსები და ათასგვარი ქაღალდები, ამაზე საუბრობენ და წუხან ჩვენი ექიმებიც.

პირველადი ჯანდაცვის როლი კი უმნიშვნელოვანესია და ეს კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მსოფლიოში კოვიდ 19-ის პანდემიის პირობებში, – განაცხადა შაქარიშვილმა.

ნაცმოძრაობა რეგიონებში ყველგან დააყენებს კანდიდატებს

დიდი ალბათობით, რეგიონებში, თუკი იშვიათი გამონაკლისი არ იქნა, ნაციონალური მოძრაობ ყველგან დააყენებს კანდიდატებს.

ამის შესახებ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისივე თქმით, კონსულტაციები გრძელდება და მათი მიზანია ფართო კოალიციის შექმნა.

– იყო ისეთი შეთავაზებაც კი, რომ საერთო სიებიც კი ყოფილიყო, რასაც პარტიები არ გამოეხმაურნენ. ჩვენი მიზანია უფრო მეტი პარტიის გაერთიანება, ვიდრე „ძალა ერთობაშია“, მათ შორის ცალკეული ცნობილი და ავტორიტეტული პირების შემოერთება ამ დიდ კოალიციაში. გაერთიანების მომხრე ვიყავით ყოველთვის, ეს დავამტკიცეთ მაშინაც, როცა თბილისში 8 ოლქიდან 6 დავუთმეთ ოპოზიციას და ბოლომდე ეს პროცესი არ არის მისული, ველოდებით და სამწუხაროდ, დრო იკარგება, როცა ორი ოლქი დღესაც არ არის შეთანხმებული.

ამიტომ ჩვენ ვემზადებით არჩევნებისთვის და დიდი ალბათობით, რეგიონებში თუკი იშვიათი გამონაკლისი არ იქნა, ნაციონალური მოძრაობა დააყენებს ყველგან კანდიდატებს, – განაცხადა გოცირიძემ.

საქართველომ საზღვრები გერმანიას, საფრანგეთს, ლატვიას, ლიეტუვას და ესტონეთს გაუხსნა

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველო 5 სახელმწიფოსთან საზღვარს უპირობოდ ხსნის. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ირაკლი ჩიქოვანმა გუშინ, 8 ივლისს, საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

– დღეისათვის იმ ქვეყნებიდან, ვინც საქართველოს უპირობოდ გაუხსნა საზღვარი, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოც ასევე უპირობოდ ხსნის საზღვარს 5 სახელმწიფოსთვის. ესენია: გერმანია, საფრანგეთი, ლატვია, ლიეტუვა და ესტონეთი, – განაცხადა ირაკლი ჩიქოვანმა.

მისივე ინფორმაციით, ჩამოთვლილი 5 ქვეყნის მოქალაქეებს, რეზიდენტებს შეეძლებათ ყველა სახის ვიზიტი საქართველოში, მხოლოდ პირდაპირი საჰაერო გზით. მისივე განმარტებით, საქართველოს საზღვრის გადმოკვეთამდე მათ უნდა შეავსონ სპეციალური ელექტრონული ანკეტა.

– საქართველოს საზღვრის გადმოკვეთამდე მათ უნდა შეავსონ სპეციალური ელექტრონული ანკეტა, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი ყველა პროცედურა და ასევე ამ ინფორმაციაში იქნება გათვალისწინებული, რომ თითოეულმა მგზავრმა უნდა წარმოადგინოს საქართველოში ვიზიტამდე ბოლო 14 დღის განმავლობაში მოგზაურობის ისტორია. ასევე, ანკეტაში იქნება გათვალისწინებული ინფორმაცია, სადაც იქნება აღნიშნული, თუ სად აპირებს გაატაროს დრო და დარჩეს ჩვენი ქვეყნის სტუმარი საქართველოში ყოფნის პერიოდში. მისი საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა ინფორმაცია, რომლებიც ჩვენ მოგვცემს საშუალებას, გვქონდეს ზუსტი ინფორმაცია საჭიროების შემთხვევაში. მათივე თანხმობის შემთხვევაში, ან/და საზღვარზე თერმოსკრინინგის გავლის დროს თუ დაფიქსირდა 37 გრადუსზე უფრო მაღალი ტემპერატურა, აეროპორტში მათ ჩაუტარდებათ პისიარ ტესტი.

ასევე, სავალდებულო წესით ტესტირებას ან კარანტინს გაივლიან ის პირები, რომლებსაც ბოლო 14 დღის განმავლობაში აქვთ ევროკავშირის არაწევრ მაღალი საფრთხის მქონე ქვეყნებში მოგზაურობის ისტორია. საქართველოში ჩამოსულ თითოეულ პირთან მთელი აქ ყოფნის განმავლობაში, პროაქტიულ კომუნიკაციაში იქნება და მათზე იზრუნებს სპეციალურად შექმნილი ქოლცენტრის ჯგუფი, – განაცხადა ირაკლი ჩიქოვანმა.

თბილისი-მიუნხენის რეისი 2 აგვისტოს აღდგება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, აგვისტოდან რეგულარული ფრენები თბილისიდან რამდენიმე მიმართულებით აღდგება.

ნათია თურნავას განმარტებით, 2 აგვისტოდან მიუნხენი-თბილისის რეისი კვირაში ორჯერ შესრულდება.

– პირდაპირი ფრენები და შეთანხმებები ავიაკომპანიებთან უნდა ემსახურებოდეს გარკვეულ ლოგიკას. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავუშვებდით რეგულარულ ფრენებს, ვიდრე არ გვეცოდინებოდა მიმღები ქვეყნის პოზიცია. ახლა, როდესაც ვიცით, ვინ არიან ის სახელმწიფოები, ვინც უპირობოდ გვიშვებს ჩვენ, გვაქვს საფუძველი მოველაპარაკოთ ავიაკომპანიებს. ეს ეხება „ლუფტჰანზას“, რომელთანაც გვაქვს შეთანხმება, რომ ყველაზე გვიან, 2 აგვისტოს აღდგება რეგულარული ფრენები თბილისსა და მიუნხენს შორის და ეს იქნება კვირაში ორი ფრენა.

ვაგრძელებთ მოლაპარაკებას „ეარ-ფრანსთან“ და შესაძლებელია, აგვისტოში მოხდეს შეთანხმება „შარლ დე გოლის“ აეროპორტთან.

რაც შეეხება ბალტიისპირეთის სამ სახელმწიფოს, „ეარ-ბალტიკი“ არის წარმოდგენილი და რიგა-თბილისის რეისის შესრულება აგვისტოდან დაიწყება, – განაცხადა „დღის კურიერში“ ნათია თურნავამ.

რაც შეეხება დაბალი კონკურენციის ფარგლებში ბილეთის ფასს, ნათია თურნავას თქმით, აღნიშნული საკითხი ავიაკომპანიის გადასაწყვეტია, თუმცა დაბალი მოთხოვნიდან გამომდინარე, ეკონომიკის მინისტრი ფიქრობს, რომ ბილეთის ფასი არ გაიზრდება.

ამირან გამყრელიძე: „წინასაარჩევნო კამპანია დისტანციის დაცვით და ღია სივრცეებში უნდა ჩატარდეს“

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის განცხადებით, მისი პირადი რჩევაა, რომ საარჩევნო კამპანია ღია სივრცეებში უნდა ჩატარდეს და ასევე, დაცული უნდა იყოს დისტანცია.

ამით მან უპასუხა კითხვას, როგორ მოუწევთ კანდიდატებს პანდემიის პირობებში საარჩევნო კამპანიის ჩატარება.

მისივე თქმით, ამჟამად აღნიშნულის თაობაზე მუშაობა მიმდინარეობს.

– მე, პირადად, როცა საარჩევნო კოდექსში ცვლილებები მიიღეს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, ჩართული ვიყავი. ამჟამად ბევრი კანონქვემდებარე აქტი მუშავდება. ეს დაკონკრეტდება, მათ შორის, წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით. ზოგადი რეკომენდაციები იქნება, რასაც ხშირად ვსაუბრობთ – დისტანციის დაცვა წინასაარჩევნო კამპანიის დროს, იგივე პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის დაცვა და თუ გარკვეული თავშეყრის ჯგუფი იქნება, იქ, რა თქმა უნდა, აუცილებელი იქნება პირბადეების ხმარება, მაგრამ ხაზს ვუსვამ, რომ ეს ყველაფერი ახლა მუშავდება და ალბათ იქნება ცნობილი.

ჩემი პირადი რჩევაა – ყველაზე მთავარი წინასაარჩევნო კამპანიების დროს დისტანციის დაცვა და ღია სივრცეებში ამ წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება, ნაკლებად – დახურულ სივრცეებში, – აცხადებს გამყრელიძე.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კალაძე ივანიშვილისგან გამოყოფას დღეს ვერ გაბედავს“

გურამ ჩალაგაშვილი: „ოქტომბრის არჩევნებს ოპოზიცია მოიგებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.

– ბატონო გურამ, ნაციონალებმა განაცხადეს, რომ რეგიონებში ყველგან დააყენებენ საკუთარ კანდიდატურებს. თბილისშიც ბოლომდე ვერ მოხერხდა შეთანხმება მაჟორიტარებზე. რატომ არის ამდენი პრობლემა ოპოზიციის შიგნით?

– მოდით, თბილისით დავიწყებ, რაც შეეხება იმას, რომ ვერ შევთანხმდით, მე ასე არ ვიტყოდი, იმიტომ, რომ ჯერჯერობით მოლაპარაკებები მიდის და დროც არის საკმარისი. მე ვფიქრობ, რომ იქითა კვირისთვის მოლაპარაკებები დასრულდება და იქნება შეთანხმებული თბილისის დარჩენილი მაჟორიტარები.

რეგიონებში ალბათ ყველა დააყენებს თავის კანდიდატს. თუ რომელიმე პარტიას ეყოლება უკონკურენტო კანდიდატი, ჩვენ ამ კანდიდატს დავუჭერთ მხარს, ხოლო ისეთ ოლქში, რომელიც ოთხი რაიონისგან შედგება და არის ასეთი სამაჟორიტარო ოლქები, აქ უკეთესიც კია, ყველა პარტიამ დააყენოს საკუთარი კანდიდატი კონკრეტული რაიონიდან, რომელიც მაქსიმალურად ბევრ ხმას წაართმევს „ოცნებას“.

– თუკი ყველას თავისი კანდიდატურა ეყოლება და არ შეთანხმდებით ერთიან კანდიდატზე, რეგიონებში ეს უფრო მომგებიანი იქნება?

– რეგიონებში, განსაკუთრებით კი ისეთი ოლქებში, რომლებიც რამდენიმე რაიონისგან შედგება, უფრო მომგებიანი იქნება. მაგალითად, გაერთიანებულია ონი, ამბროლაური, მესტია და ლენტეხი. ეს ერთი საარჩევნო ოლქია. ერთი მომგებიანი კანდიდატურის მოძებნა ძალიან რთულია, ამიტომ, რაც უფრო მეტი კანდიდატი იქნება ოპოზიციიდან, უფრო მეტ ხმას წავართმევთ „ქართული ოცნების“ ერთ კანდიდატს და მეორე ტურში მთელი ოპოზიცია მხარს დაუჭერს იმ ოპოზიციურ კანდიდატს, რომელიც გავა მეორე ადგილზე. ეს იქნება, რა თქმა უნდა, მომგებიანი.

– რას აპირებს ირაკლი ოქრუაშვილი, მან უარი თქვა თბილისში მაჟორიტარობაზე.

– დიახ, ირაკლი ოქრუაშვილმა უარი თქვა. როდესაც საუბარი იყო თბილისთან დაკავშირებით, 6 ადგილი იყო დარჩენილი, იცით, რომ ორი ნაციონალურმა მოძრაობამ წაიღო. 6 ადგილას იყო 7 კანდიდატი, მაშინდელი მონაცემებით, შესაბამისად, ირაკლიმ თქვა, რომ მთავარია შენარჩუნდეს ერთობა და მე გავიწევი გვერდით და დაგვრჩება ექვს ადგილას ექვსი კანდიდატი და არ იქნება არაფერი საჩხუბარო. შემდეგ ამ ექვსიდან ორ ადგილს ითხოვდა ალეკო ელისაშვილი და შემდეგ უკვე მისი პოზიცია ყველასთვის ცნობილი გახდა. მან ძალიან გვიან დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ ის აღარ აპირებდა ამ ერთობაში მონაწილეობას.

– მისმა განცხადებებმა ხომ არ დააზარალა ოპოზიცია?

– მისმა განცხადებებმა დააზარალა მხოლოდ და მხოლოდ მისი თავი. სხვას ნამდვილად ვერაფერი ვერ დააკლო და ვერც ვერაფერს დააკლებს. არ მინდა ახლა მასზე საუბარი, რბილად რომ ვთქვა, არასწორი იყო და ჩემთვის ძალიან მიუღებელი, ალეკო ელისაშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯი.

– რა ხდება ხელისუფლების შიგნით?

– ხელისუფლების შიგნით სერიოზული დაპირისპირებაა, ამას უკვე ყველა თვალნათლივ ვხედავთ. ის, რომ აქამდე ჰყავდათ 73 მაჟორიტარი და ახლა არის 30, უფრო ზრდის დაპირისპირებას შიგნით. აქ მთავარი იქნება ის, თუ სახელისუფლო გუნდში არსებული რომელი კლანი უფრო ძლიერი აღმოჩნდება ივანიშვილისთვის და უფრო სანდო. ეს იქნება გახარიას კლანი, კალაძის თუ სხვა.

ივანიშვილის მიზანია, რომ დღეს საკუთარი გუნდი შეავსოს ყველაზე ერთგული ადამიანებით. ვინაიდან ძალიან კარგად იცის, რომ თუკი არჩევნებს ვერ მოიგებს, მოუწევს სერიოზული ბრძოლა და, შესაბამისად, ისიც იცის, რომ არასანდო ადამიანები ძალიან მალე იპოვიან თავიანთი ადგილს.

– არჩევნებამდე კიდევ მოიმატებს დაძაბულობა და შესაძლოა კონკრეტული ჯგუფებიც გამოეყოს „ოცნებას“?

– ვფიქრობ, რომ უპირობოდ მოხდება ეს ყველაფერი, იმიტომ, რომ დამარცხებული კლანი შეეცდება, ცალკე თამაში დაიწყოს. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ თვითონ ივანიშვილმაც მიზანმიმართულად გაათამაშოს ეს სცენარი, ვითომ განხეთქილების და შემდეგ ორი ფრონტიდან შემოუტიოს ოპოზიციას. ამ ყველაფრის მიუხედავად, მას მაინც არანაირი შანსი არ აქვს, ვინაიდან ხალხი ხედავს ყველაფერს.

საზოგადოება ხედავს, რომ დღეს საქართველოში ყველაზე დიდი პრობლემა არის ბიძინა ივანიშვილი. დღეს ქვეყანაში ყველაზე დიდი პრობლემა არის ეკონომიკური კრიზისი, რომელიც უფრო და უფრო ღრმავდება. ხალხი ითხოვს ცვლილებებს და როდესაც ხალხი ითხოვს, ისინი აუცილებლად განხორციელდება.

– „ოცნებიდან“ კალაძე და მისი გუნდი შესაძლოა ცალკე გავიდეს. რამდენად მომგებიანი იქნება ახლა კალაძისთვის დამოუკიდებელი თამაშის წამოწყება?

– ამ ინფორმაციას მეც ვფლობ, რომ ნამდვილად დაპირისპირებაა კალაძესა და ივანიშვილს შორის. თუმცა, არა მგონია, რომ დღეს და ხვალ კალაძემ გადადგას ეს ნაბიჯი და მან დაიწყოს დამოუკიდებელი თამაში, თუ მას არ ექნება თანხმობა ბიძინა ივანიშვილისაგან. ხოლო, როგორც კი ის დაინახავს, რამდენიმე თვეში, რომ „ქართული ოცნება“ დასრულებულია, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია და როგორც ხელისუფლება, რა თქმა უნდა, იგი შეეცდება, რომ ცალკე თამაში ითამაშოს და შეძლოს, რამდენიმე ადამიანი გაიყვანოს თავისი გუნდიდან.

– „ოცნებას“ შიდა კვლევებითაც კი დაბალი რეიტინგი აქვს. წავლენ კოალიციურ მთავრობაზე თუ ისევ გაყალბების იმედად დარჩებიან?

– ისინი თუ შეეცდებიან გაყალბებას, როგორც კი ეს აზრი გაუელვებთ თავში, იმ დღესვე უკვე წაგებულები იქნებიან და წასულები ხელისუფლებიდან! იმიტომ, რომ არც ერთი ჩვენი დასავლელი პარტნიორი, არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, ამას არ აპატიებს ხელისუფლებას და ისინი მიიღებენ მხოლოდ უარყოფით დასკვნებს. და თუ დასავლეთმა არ აღიარა არჩევნები, ის ვერ იქნება ლეგიტიმური, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს ხელისუფლება დასრულებულია. რაც შეეხება იმას, რომ დაბალი რეიტინგი აქვთ, რა თქმა უნდა, დაბალი რეიტინგი ექნებათ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ არ შეიძლება, ხელისუფლებას, რომელსაც 80% მოსახლეობისა ჰყავს მშიერი და 80% თავს გრძნობს დაუცველად, თუნდაც კრიმინოგენური სიტუაციიდან გამომდინარე, ჰქონდეს მაღალი რეიტინგი.

ადამიანებს უკვე ყველაფრის ეშინიათ, ეშინიათ გარეთ ავტომობილის გაჩერების, ეშინიათ ბავშვების გარეთ გაშვების. დღე არ გავა, არ გავიგოთ, რომ ვიღაცამ ვიღაცას ესროლა, მოკლა, დაჭრა... აგერ ვხედავთ, რაც ხდება იგივე შაქარაშვილის საქმესთან დაკავშირებით. ანგელოზივით ბავშვი მოკლეს და ექსპერტიზის პასუხსაც კი არ აცნობენ მოსახლეობას. ეს ნიშნავს იმას, რომ ესენი არიან უსუსურები და დღეს ჩვენს ქვეყანაში კრიმინოგენური სიტუაცია არის ზენიტში ასული. შევარდნაძის მმართველობის დროსაც კი არ ყოფილა ასეთი სიტუაცია, როგორიც დღეს არის ამ თვალსაზრისით. ქვეყანას მართავენ კრიმინალი ავტორიტეტები, ქურდები და მსგავსი ტიპის მოძველებიჭო ელემენტები.

– თქვენ ფიქრობთ, რომ აგებს 2020-ის არჩევნებს „ოცნება“?

– არა, არ ვფიქრობ, რომ აგებს, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ოქტომბრის ბოლოს აუცილებლად მოხდება ხელისუფლების ცვლილება და ოპოზიციური ძალებისგან შეიქმნება კოალიციური მთავრობა, რომელიც მაქსიმალურად მოკლე დროში შეეცდება, ქვეყანა ამოიყვანოს ამ ჭაობიდან!

„ჩვენ ვებრძვით ივანიშვილს, სააკაშვილსა და ხაზარაძეს“

გედევან ფოფხაძე: „ქართულ ოცნებასთან“ მხოლოდ იმიტომ, რომ „ნაცები“ უარესები არიან და მართლაც არიან უარესები, ვერ ვიქნები. ესენიც კორუმპირებულები არიან და ისინიც კორუმპირებულები იყვნენ“

ნათია ხურცილავა

პარტია „ჩვენი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, ეს არჩევნები გადამწყვეტ არჩევნებად არის შეფასებული. როგორი მოლოდინი გაქვთ, რთული არჩევნები იქნება?

– ჩემი ამოცანა არჩევნების მოგებაა. მე არ მჯერა, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილებებით უფრო დემოკრატიული და გამჭვირვალე არჩევნები ჩატარდება. არსებითად არაფერი იცვლება. ჩვენი ამოცანაა, პოლიტიკიდან გავყაროთ ყველა, ვინც ფულით, ძალადობით, ტყუილით ცდილობს ამომრჩეველი არჩევნებამდე „გადააგდოს“. ერთნაირი თანმიმდევრობით ვაპირებთ ბრძოლას „ნაცებთანაც“, „ოცნებასთანაც“ და ხაზარაძესთანაც. ვუპირისპირდებით ყველას, ვინც ამ ქვეყანას სიკეთესა და წინსვლას ვერ მოუტანს. ასეთად მიმაჩნია ივანიშვილიც, სააკაშვილიც და ხაზარაძეც.

– ვისთან ერთად გადიხართ არჩევნებზე თუ დამოუკიდებლად გადის თქვენი პარტია?

– ამ ბრძოლაში გავდივართ იმ ხალხთან ერთად, ვინც ამ სულისკვეთებას იზიარებს. ხალხზე ამათი ბატონობა უნდა დავამთავროთ. ხალხი უნდა გახდეს ბატონი. ახლა პირიქით არის. ვინც ამას მოინდომებს, ყველას ჩამოვართმევთ ხელს. სააკაშვილის, ივანიშვილის, ხაზარაძის ორბიტაზე ვინც აპირებს ყოფნას, ყველას ვამხელთ. ჩვენ არ გვეშინია ამ დაპირისპირების. მთავარია, მართალი ვიყოთ ხალხთან. თუ დავინახავთ, ვიღაცა სუსს შეეკრა, ფულის ტომრების იმედად არის არჩევნებზე, ძალადობითა და მოტყუებით აპირებს ფონს გასვლას, ამ ყველაფერს ვამხელთ. მორალურ კომპრომისზე არ ვაპირებთ წასვლას კონიუნქტურიდან გამომდინარე. დავინახავ, ვიღაცა ფულის ტომარას მიეყიდა და ამიტომ იცავს, პირდაპირ ვიტყვი, ყველაფერს თავის სახელს დავარქმევ.

– წინასაარჩევნოდ კონკურენტების მხილებას აპირებთ?

– ესენი კონკურენტები არ არიან, ვინც სამხილებელია, ყველა ამ ქვეყნის მოღალატეა. ფულის ტომრები ცდილობენ პოლიტიკაში ყოფნით ხალხზე ბატონობას. ამიტომ ვაპირებ ასეთი კამპანიის ჩატარებას. როდესაც მოწოდებაა – გაერთიანდით! ვისთან?! ვისთან უნდა გაერთიანდე?! „ბილწს არ შევეკვრი ზავითა“, ეს გამორიცხულია. და თუ ავზე ავს ვერ ვიტყვი, მაშინ გამოდის, კარგზე კარგს ვერ ვიტყვი. თუ ივანიშვილზე ვამბობ, რომ ის არის ფაქტორი ქართულ პოლიტიკაში და ცუდი ხელისუფლებაა, მაშინ მამუკა ხაზარაძეს რატომ უნდა გადავუსვა ხელი თავზე?! მით უმეტეს, იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ფულზე იყიდებიან. მიშა ცუდია, მაგრამ ბიძინას მირჩევნია, ან ბიძინა იყოს, რომ მიშა არ დაბრუნდეს, ეს მორალური კომპრომისები უნდა დასრულდეს. ცუდსა და უარესს შორის არ უნდა გავაკეთოთ არჩევანი. არჩევანი კარგსა და უკეთესს შორის უნდა გავაკეთოთ, თამასა უნდა ავწიოთ.

– როგორ?

– არჩევანი არის და ამაში იყოს შეჯიბრი – ვინ უფრო იქნება სახალხო ძალა. ამ შემთხვევაში ვიტყვი – ის არის ჩემი კონკურენტი. რაც შეეხება ამათ, ესენი კონკურენტები არ არიან, ესენი ამ ქვეყნის მტრები არიან. ხალხზე მოძალადეებთან, ხალხის მომტყუებლებთან და „გადამგდებებთან“ აკადემიური ვერ ვიქნები. ღიად ვაპირებ ყველაფრის თქმას და ყველას მხილებას.

– კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, რომ კოალიციური მთავრობის ფორმირება გახდეს საჭირო. ამ შემთხვევაში თქვენნაირი პარტიების ხმები მნიშვნელოვანი იქნება, შეიძლება გადამწყვეტიც კი იყოს. ვის დაეხმარებით მთავრობის ფორმირებაში „ნაციონალურ მოძრაობას“ თუ „ქართულ ოცნებას“?

– არავის! არავის არ დავეხმარებით. ან ჩვენ ვრჩებით ბოლომდე ხალხის ერთგული, ან უარს ვამბობთ ყველაფერზე, რადგან პრინციპი – ეს იმაზე უარესია, მიუღებელია. „ქართულ ოცნებასთან“ მხოლოდ იმიტომ, რომ „ნაცები“ უარესები არიან და მართლაც არიან უარესები, ვერ ვიქნები. სისასტიკის ხარისხით ხომ არ ვაფასებთ ჩვენი ქვეყნის მომავალს. ესენიც კორუმპირებულები არიან და ისინიც კორუმპირებულები იყვნენ. კორუმპირებულობის ხარისხი არ მაინტერესებს, რადგან აქელმისა და ნემსის ქურდი ორივე ქურდია. ვიღაცა დახვრიტეს და ვიღაცა ჩამოახრჩვეს – ეს არის განსხვავება. ამიტომ, ამ გარიგებაზე არ ვაპირებთ წასვლას. „ოცნებას“ სჭირდება – ეს უკვე გამოვიარე.

– რას გულისხმობთ?

– პირდაპირ გეტყვით: წინა მოწვევის პარლამენტში, „ქართული ოცნება“ უმცირესობაში რომ არ აღმოჩენილიყო და უმრავლესობა რომ არ დაშლოდა, მე რაღაც კომპრომისებზე წავედი. მეტად ამის გაკეთებას აღარ ვაპირებ! ეს გამორიცხულია. აღარ ვაპირებ რევერანსებს არც ერთის და არც მეორის მიმართულებით, მაშინ პოლიტიკაში ჩემი ადგილი აღარ არის, საერთოდ წავალ პოლიტიკიდან.

– ხაზარაძესთან?

– 1999 წლიდან მოყოლებული დაპირისპირება მაქვს მამუკა ხაზარაძესთან ბორჯომში. 2002 წელს ბადრი ჯაფარიძე ჩამოვიდა ბორჯომში და ბორჯომელებს მიმართა, რომ ჩემთვის ხმა არ მოეცათ, გედი ფოფხაძე ჩვენი მტერიაო! ასე რომ, ყველაფერი გასაგებია. მე ეს კამპანია უკვე გამოვლილი მაქვს.

– მაშინ ვადამდელი არჩევნები შემოდის დღის წესრიგში?

– რატომ?! ჩვენი ამოცანა არის ხალხის დარწმუნება იმაში, რომ ეს ნაგავი მთლიანად უნდა გავიტანოთ! სააკაშვილიც, ივანიშვილიც და ხაზარაძეც ამ ქვეყნიდან უნდა გავიტანოთ. რა მნიშვნელობა აქვს, საქართველო დრაკონის ხელში ჩავარდება თუ მგლის. ან ხალხი იბრუნებს სამშობლოს, ან არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს, ვინ იქნება – ბიძინა ივანიშვილი თუ მამუკა ხაზარაძე.

– მაჟორიტარები გეყოლებათ როგორც თბილისში, ისე რეგიონებში?

– რა თქმა უნდა. იდეოლოგიურად ახლოს მყოფ პარტიებთან შეიძლება დავილაპარაკოთ ამ საკითხზე.

– იდეოლოგიურად ვინ დგას თქვენს პარტიასთან ახლოს?

– ჯერ ვერ ვასახელებ ამ ადამიანებსა და პარტიებს. ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ ხალხმა არჩევანი არ უნდა გააკეთოს ცუდსა და უარესს შორის. ვინც ამაზე შევთანხმდებით, მზად ვართ მათთან ერთად ბოლომდე ვიბრძოლოთ.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

ანზორ აბრალავა: „საქართველოში კოალიციის შექმნას ხელოვნური ხასიათი აქვს“

„ქვეყანამ პირდაპირი ურთიერთობები უნდა დაამყაროს განვითარებული ქვეყნების კომპანიებთან და ჩამოაყალიბოს ერთობლივი საწარმოები“

მარიამ მჭედლიშვილი

არის თუ არა ადეკვატური ახალი თამამი დაპირებების გაცემა მმართველი პარტიის მხრიდან? რა ეშველება საქართველოს ეკონომიკას და კერძო სექტორში დასაქმებული მოსახლეობის ნაწილს, რომელიც ტურიზმთან იყო დაკავშირებული? რას ცვლის ახალი საარჩევნო მოდელი მომდინარე წლის არჩევნებისათვის? ამ და სხვა თემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.

– „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, რომ წინასაარჩევნოდ პარტიას ექნება თამამი დაპირებები მოსახლეობისათვის. ეს მეტისმეტად გაბედულად ხომ არ გაისმის იმ ფონზე, როცა მმართველ პარტიას წინა წლებში გაცემული უხვი დაპირებები არ შეუსრულებია?

– ეს არის ჩვეულებრივი წინასაარჩევნო განცხადება. ყველა პარტია იძლევა დაპირებებს. მათი შესრულება ყოველთვის და 100%-ით არ გამოდის. ყველა არჩევნებს თან სდევს თამამი დაპირებები. გეთანხმებით იმაში, რომ დაპირებები უფრო რეალისტური უნდა იყოს, გასათვალისწინებელია სიტუაციური ფაქტორები, ბიუჯეტის შესაძლებლობები და სხვა.

– საქართველოს ბიუჯეტი და საერთოდ ეკონომიკა მეტისმეტად დამოკიდებული იყო ტურიზმზე. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც კერძო სექტორში საქმიანობდა და პირდაპირ თუ ირიბად მიბმული იყო ტურიზმზე, მძიმე დღეშია. წელს საგარეო ტურიზმი არ იქნება. არ მოვიდა დრო, რომ ეს სექტორი სხვა მიმართულებაზე გადაეწყოს?

– რა თქმა უნდა. თავისთავად, ტურიზმი, მათ შორის, საგარეო, კარგია. ბევრ რამეს წყვეტდა ბაზარი. მთავარია, რომ ქვეყანა მარტო ტურიზმზე არ იყოს ჩამოკიდებული. სამწუხაროდ, ჩვენში ასე მოხდა. ჯერ კიდევ სააკაშვილის დროს მოხდა ტურიზმის წილის ზრდა. ქვეყანაში დიდი ხანია არსებობენ ფარული და ღია მონოპოლიები. ეს ხელს უშლის წარმოებას. არადა, აუცილებელია დარგთაშორისი განვითარება, დარგებს შორის პროპორციები.

– ამ კრიზისიდან გამოსავალი სად არის?

– საქართველოს აქვს პოტენციალი განვითარდეს კოოპერაციის, განვითარებულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გზით. საჭიროა უშუალო, პირდაპირი ურთიერთობები და ერთობლივი საწარმოები. ამას ესაჭიროება პროტექციონიზმი, ლიბერალური მიდგომა და ბარიერების აღმოფხვრა. ხელოვნურმა ბარიერებმა ამ პროცესს ხელი არ უნდა შეუშალოს. ამ გზით შეიქმნება მეტი ეკონომიკური სუბიექტი და დასაქმდებიან ადამიანები.

– არჩევნებს დავუბრუნდეთ. თქვენ, ისევე, როგორც არაერთი სხვა ადამიანი, აღნიშნავდით, რომ საარჩევნო გარემო საქართველოში უთანასწორო და უსამართლოა. იცვლება თუ არა ამ თვალსაზრისით რამე იმ ახალი მოდელით, რომლითაც იმართება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები?

– სიმართლე გითხრათ, განსაკუთრებულ ცვლილებებს ვერ ვხედავ. ყოველთვის ვიყავი დარწმუნებული, რომ საარჩევნო სისტემა უნდა აიგოს სრული პარიტეტის პრინციპზე. ეს არის სამართლიანი წარმომადგენლობა საარჩევნო კომისიებში, ასევე, პარტიების დაფინანსება ბიუჯეტიდან.

– დაფინანსების წესში ცვლილებებია – შედარებით პატარა პარტიებს მეტი დაფინანსება ექნებათ, ვიდრე დიდებს.

– დიახ, მაგრამ ეს ყველას არ ეხება. პარტიები ისევ დაყოფილია კვალიფიციურებად და არაკვალიფიციურებად. ვინ დაადგინა მათი კვალიფიკაცია, გასარკვევია. თანხების მატება ეხება იმათ, ვინც არენაზეა.

– ახალ პარტიებს უჭირთ პოლიტიკურ ველზე დამკვიდრება?

– ახალი პარტიებისათვის დამკვიდრება და განვითარება ამ საარჩევნო გარემოში შეუძლებელია. ამიტომაც არიან ერთი და იგივე სახეები ერთი და იმავე აზრებით. ახალი იდეები არ ჩანს. მხოლოდ ახალი სახე პოლიტიკაში არაფერს ნიშნავს. მთავარია, სწორი იდეები და კომპეტენტური შეფასებები, სუფთა წარსული. ამ სიტუაციაში ამგვარ ხალხს პოლიტიკაში არ უშვებენ.

– ბევრს საუბრობენ მომავალი პარლამენტის შესაძლო კოალიციაზე, მომავალ კოალიციურ მთავრობაზე. გამოითქმის ისეთი აზრიც, რომ მომავალ პარლამენტში უმრავლესობა ვერ ჩამოყალიბდება, შესაბამისად, ვერ მოხდება მთავრობის ფორმირება, რაც ვადამდელი არჩევნების მიზეზი გახდება.

– სხვა ქვეყნებში კოალიციები და კოალიციური მთავრობები ბუნებრივად ყალიბდება. ჩვენში ამას ხელოვნური ხასიათი აქვს. კოალიცია თავისთავად, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იქმნებოდეს. კიდევ ერთი პრობლემა ე. წ. ოპოზიციაშია. სააკაშვილის პარტია, ყოფილი ნაციონალები და მათი სატელიტები არჩევნებზე არ არიან ორიენტირებული. მათი მიზანია არა ევოლუციური განვითარება, არამედ, რევოლუცია. ამას ადასტურებს ნაცმოძრაობის ჟინიანობა ყველა საკითხში, ახლანდელი და ძველი მოქმედებები.

დავით ლორთქიფანიძე: „ჭაკუა და მისი თანამზრახველები საქართველოში უნდა გასამართლდნენ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დავით, როგორ შეხვდით გერმანიიდან სააკაშვილის დროინდელი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის ჭაკუას ექსტრადირებას, რომელიც მხილებულია ციხეებში პატიმრების წამებაში? თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ამ ფაქტის მიმართ?

– გერმანული მხარე ცალსახად აღიარებს, რომ საქართველო სამართლებრივი სახელმწიფოა, სასამართლო მაქსიმალურად თავისუფალია. წინააღმდეგ შემთხვევაში მაშინ, როდესაც თვითონ ჭაკუა გერმანიაში აცხადებდა, რომ საქართველოს სასამართლო დამოუკიდებელი არ არის და მას არ უნდოდა, მისი ექსტრადიცია საქართველოში მომხდარიყო, ჭაკუას აზრი რომ გაეთვალისწინებინა, გერმანული მხარე არ მოახდენდა მის ექსტრადიციას.

იმის მიუხედავად, რომ ჭაკუას ესტრადიციის ვადა 22 ივლისამდე ჰქონდა, საქართველოში მისი ექსტრადიცია მაინც მოხდა. ამ ფაქტს აბსოლუტურად პოზიტიურად ვაფასებ. ჭაკუა და მისი თანამზრახველები აუცილებლად სასჯელს უნდა იხდიდნენ თავისი სამშობლოს მართლმსაჯულების წინაშე.

სააკაშვილი იქნება, ადეიშვილი თუ სხვა მათი რეჟიმის შემოქმედნი, ცდილობენ, სადაც არიან, იქაურებს თავი მოაწონონ და წარუდგნენ დიდ რეფორმატორებად. ვფიქრობ, ეს მხოლოდ და მხოლოდ უკრაინის ხელისუფლების პრობლემაა.

მალე დარწმუნდებიან, რომ ეს ადამიანები არ არიან ღირსი, უკრაინელი ხალხის სამსახურში იყვნენ. უკრაინის ხელისუფლებაში მალე დარწმუნდებიან, რომ სააკაშვილსა და მის ჯგუფს საქართველოში უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი. ასე რომ, ეს არის უკრაინის ხელისუფლების პრობლემა.

– ჭაკუას ექსტრადირებაზე გერმანიის ხელისუფლების დათანხმება ხომ არ იყო გამოწვეული მათი ქვეყნის ელჩთან ჩვენი ოპოზიციის დაპირისპირებით. გერმანელები ამან ხომ არ დაარწმუნა, ვისთან ჰქონდათ საქმე?

– არ გამოვრიცხავ. შეიძლება, ჩვენი ოპოზიციის არაკორექტული განცხადებების შემდეგ, გერმანიის ხელისუფლების განწყობები შეიცვალა, მაგრამ გერმანიაში, ისევე, როგორც ევროკავშირის სხვა ქვეყნებში, სამართალი და კანონიერება არის მთავარი.

ამიტომ საჭიროდ ჩათვალეს, ადამიანმა, რომელმაც უსერიოზულესი დანაშაულობები ჩაიდინა, თავისი ქვეყნის სასამართლოს წინაშე პასუხი უნდა აგოს.

არც იმას გამოვრიცხავ, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც მათ ოპოზიციური მოძრაობის პატრიარქად შერაცხეს, აცხადებს, რომ გერმანიის ელჩი ბიძინა ივანიშვილისაგან ფინანსდება, ასეთი განცხადება, ნეგატიურ სახელმწიფოში, ნეგატიურ დამოკიდებულებებს იწვევს, მაგრამ მე არ ვარ იმ პოზიციაზე, რომ თუნდაც სუბიექტური მიზეზების გამო სახელმწიფომ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღოს. შეიძლება ეს გარკვეულწილად ლაკმუსის ქაღალდიც კი ყოფილიყო.

ასეთი უპასუხისმგებლო განცხადება ორი ქვეყნის ურთიერთობებს აზიანებს, რომელიც დაკავშირებულია ასწლოვან პოზიტიურ დამოკიდებულებებთან.

– „ოცნების“ ბრალიც ხომ არ არის, რომ ასეთი ვითარებაა?

– პოლიტიკაში არსებობს ძალიან მარტივი პოსტულატი: არასოდეს არ თქვა არასოდეს. ოპოზიციის განცხადებები მხოლოდ და მხოლოდ იმისკენაა მიმართული, რომ საქართველოში მმართველი პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ, ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების კონსოლიდაცია მოახდინონ. ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენი ხალხი გონიერია და ეს მათ არ გამოუვათ.

ჩვენი ბრალია, დღეს ეს ადამიანები თავისუფლად რომ დანავარდობენ და საჯარო სივრციდან მორალს გვიკითხავენ. ეს ჩვენი პასუხისმგებლობაა, მაგრამ რაც უფრო მალე გავითავისებთ იმას, რომ ეს პასუხისმგებლობა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე ამომრჩეველმა დაგვაკისრა, მით უკეთესი იქნება ჩვენი მომავალი საქმიანობისთვის.

– ბოლო პერიოდში ძალიან ვართ „განებივრებული“ სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებებით, სადაც სწორედ ნაციონალების პერიოდში ჩადენილ დანაშაულობებზე, მკვლელობებსა და წამებებზეა საუბარი. ხომ არ არის მოსალოდნელი, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები გახდეს ნაცმოძრაობისა და მათი განაყოფებისთვის პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის საფუძველი?

– ფაქტია, რომ წლების განმავლობაში 2004-12 წლებში ნაცრეჟიმი ნამდვილად ჩადიოდა გაუგონარ დანაშაულობებს, რომელიც დაკავშირებული იყო ადამიანების წამებებთან, ადამიანების ღირსების შემლახავ ქმედებებთან, ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევასთან, მკვლელობებთან. ამიტომ, შეიძლება, ერთ დღეს დადგეს ისეთი ვითარება, ქართულმა საზოგადოებამ ხმა ამოიღოს. ისინი ამ რისხვას ვერ გაექცევიან.

– როდის აპირებს „ოცნება“ მაჟორიტარების წარდგენას?

– ჯერ არჩევნები არ დანიშნულა. არჩევნების თარიღი ორი თვით ადრე უნდა გამოცხადდეს. არჩევნების გამოცხადებიდან ერთი თვის თავზე უნდა გახდეს ცნობილი მაჟორიტარული წესით ასარჩევი დეპუტატობის კანდიდატების ვინაობა.

თაკო ჩარკვიანი: „გია ბარამიძეს ვურჩევ, ტონალობა შეცვალოს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლური მოძრაობის მანდატებზე გააკეთა განცხადება.

გრიგოლ ვაშაძესაც სურს, რომ არსებობდეს ეს გაერთიანება, რომელმაც ამხელა გამარჯვება დადო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. 900.000 ხმის მოგროვება გამარჯვება იყო. ხომ არ ჰქონდა მანამდე ეს ხმები?!

– ვაშაძე იმიტომ ხომ არ უჭერს მხარს, რომ მეტი პასუხისმგებლობა აქვს. იქიდან გამომდინარე, რომ ის იყრიდა პრეზიდენტად კენჭს და ყველამ მხარი დაუჭირეთ მას?

– ვერ გეტყვით. ბატონმა გრიგოლმა თქვა, წარმატებული პროექტიაო. მართლა წარმატებულია. ამაზე დიდი წარმატება ჯერჯერობით ვერავინ ვერ აჩვენა. ნათელაშვილის ოფისში გაერთიანებას ჯერჯერობით გამარჯვება არ დაუდია. ჩვენ, ნამდვილმა გაერთიანებამ შედეგი დავდეთ. ნამდვილს იმიტომ ვეძახი, რომ დასავლური ღირებულებების გარშემო ვართ გაერთიანებულები და 900.000 ხმა დავდეთ. ამიტომ თავი დავანებოთ ამას, მაგრამ ლეგიტიმურად დასვეს კითხვა გაერთიანების სუბიექტებმა, ის 6 ხმა ვის მიეცით და რატომ, ან ვის ჰკითხეთ, რომ 6 მაჟორიტარზე უარს ვამბობთო? ლოგიკურია ხომ ეს კითხვა, ვის ჰკითხეს, რომ სხვების ხმები დათმეს?! ეს არის ამომრჩევლის ხმები, ჩვენი ამომრჩევლის „ძალა ერთობაშია“ ხმები.

– ანუ პირადად თქვენც გაგიჩნდათ ამასთან დაკავშირებით კითხვები?

– ცხადია, გამიჩნდა. მაგრამ იცით, რომ არ მინდა რყევის მომენტი შევიტანო. ეს მე ადრეც ვთქვი თქვენთან ინტერვიუში და ყველაზე ნაკლებად ვერევი ამ საკითხებში. ველოდები პარასკევ დღეს. თვითონ მოუნდებათ გასვლა? გამოდის, რომ თვითონ მოინდომა ნაციონალურმა მოძრაობამ“.

პარასკევამდე იმიტომ ვიცდით, რომ აზრთა სხვადასხვაობაა და ბევრი არ ემხრობა იმას, რომ ცალკე გავიდნენ. ეს არის ჩემი ინფორმაცია.

– ნაციონალური მოძრაობის შიგნით?

– კი, ნაციონალური მოძრაობის შიგნით. ბევრი არ ემხრობა იდეას, რომ ცალკე გავიდნენ, ამიტომ ვაცალოთ. თავად მიხეილ სააკაშვილიც მომხრეა, რომ შენარჩუნდეს ეს ფორმატი „ძალა ერთობაშია“ და ბლოკით გამოვიდეთ არჩევნებზე. ვადროვოთ. თუ თვითონ მოინდომებენ, რომ უნდათ გასვლა, ვინ გადაუდგება წინა?! ვერავინ.

– საზოგადოებაში ასეთი განცდაც გაჩნდა, რომ სააკაშვილს პარტნიორებისთვის ხმები არ ემეტება და ამიტომ აღარ უნდათ ბლოკი. რა ინფორმაციას ფლობთ ამ საკითხზე?

– არა. თუ რამეს ვერ დააბრალებ ამ პროცესში მიხეილ სააკაშვილს, მას ამას ვერ დაუბრალებ. მე არ მაქვს შორიდან ინფორმაცია. თუ ვინმეს რაიმე შეიძლება არ დააბრალო, ეს გახლავთ მიხეილ სააკაშვილი. ეს ჩართულობა, სადაც ბოკერია ხელებს აფათურებს... გახსოვთ 2016 წელი, როდესაც ბოკერიამ შუაზე გაუნგრია პარტია მიხეილ სააკაშვილს. სააკაშვილს უნდოდა, როცა ბოკერიამ უღალატა მას?! იგივე ამბავია ახლაც.

– ახლა უკვე ნაცმოძრაობის შიგნით სხვა ბოკერიებს ხედავთ?

– ასე არ შემიძლია რომ ვთქვა, სხვა ბოკერიებს თუ სხვა... მაგალითად, გია ბარამიძეს რამდენჯერმე მივუთითე, რომ თავი შეიკავოს რადიკალური განცხადებებისგან. ბარამიძეს არ აქვს ის ბეგრაუნდი, რომ ასეთი რადიკალური განცხადებები აკეთოს. გია ისედაც რადიკალურად ახსენდება საზოგადოებას და მე მას მეგობრულად ვურჩევდი, რომ როდესაც ძალიან რადიკალად გიცნობს საზოგადოება, პოლიტიკაში რაღაცები უნდა ისწავლოს. ასეთი ტონალობა მან უნდა შეცვალოს. როდესაც ამას არ ცვლის, ეს მისი საქმეა, მაგრამ ამომრჩევლისგან ალბათ შესაბამის პასუხს მიიღებს. მე გამიხარდებოდა, რომ უფრო რბილი გია ბარამიძე მენახა, მაგრამ მისი საქმეა, როგორც უნდა, ისე ილაპარაკოს. მაგრამ არ მგონია, რომ კარგი იყოს.

– მესმის, რომ რადიკალურ განცხადებებს არ აკეთებთ საქმიდან გამომდინარე, მაგრამ პარასკევს თუ არ იქნება ის გადაწყვეტილება, რასაც ელოდებით, რა პასუხი გექნებათ?

– რა თქმა უნდა, ასეთ დაძაბულ ვითარებაში მკვეთრ განცხადებებს არ ვაკეთებ.

დაველოდები, ნაციონალური მოძრაობა თვითონ როდის გამოაცხადებს და რას. მე მათ მაგივრად არაფერს ვიტყვი. მე გაცხადებული მაქვს ჩემი პოზიცია – დასავლური ვექტორი „ძალა ერთობაშია“. თუ ნაცმოძრაობა იტყვის, ცალკე გვინდაო, მაშინ ეს ტვირთი თავად უნდა აიღონ. მე მინდა, რომ პროცესი წარიმართოს სააკაშვილის რეფორმებით და დასავლური კოალიციით და როგორი წარმატებული პროექტიც დავდეთ საპრეზიდენტო არჩევნებზე, ის დავდოთ ახლაც.

თუ ნაცმოძრაობის იმ ფრთამ გადაძალა პროცესი, ვინც არ ემხრობა გაერთიანებული ოპოზიციის არსებობას, რაღას გავაკეთებთ და ყველას ჩვენ ჩვენი გზა გვექნება. ტრაგედია არაფერია. მთავარია, რომ ერთობა და დასავლური ვექტორი იყოს.

მთავარია, რომ რუსეთზე მომუშავე პარტიები და სამარცხვინო პირები არ გავახაროთ.

ნიკა გვარამია: „შაქარაშვილის ცხედარი შესაძლოა იმ ფერად შენობაში დაემალათ, რომელიც მერე გადაწვეს“

ავთანდილ ბილანიშვილი გამოკითხვაზე დაიბარეს

გიორგი შაქარაშვილის ცხედარი, სავარაუდოდ, 4 დღე წყალში არ იყო.

განცხადება ამის შესახებ „მთავარი არხის“ გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ 7 ივლისს გააკეთა.

შაქარაშვილის ბურუსით მოცულ გარდაცვალების საქმეზე ახალი სკანდალური დეტალები ხდება ცნობილი. საქმეში გამოჩნდა მესამე ავტომანქანაც – მიკროავტობუსი, რომელიც დიდუბეში გადაღებულ სათვალთვალო ვიდეოკამერებში ფიგურირებს, საიდანაც, „მთავარი არხის“ ინფორმაციით, კაწრო გადმოდის და საქმის ე.წ. ოქროს მოწმესთან, გური ამირხანაშვილთან, მოსალაპარაკებლად მიდის.

აღნიშნული ვიდეომასალა აქამდე მედიის ყურადღების ცენტრში არ მოხვედრილა. საქმის ახალი დეტალები მხოლოდ 7 ივლისს, ექსკლუზიურად „მთავარისთვის“ გახდა ცნობილი.

ეკა კვესიტაძის „მთავარ აქცენტებში“ ნიკა გვარამიამ იმ სქემაზე ისაუბრა, რომელიც, სავარაუდოდ, განვითარდა შაქარაშვილის გარდაცვალების ღამეს.

– სავარაუდოდ, გარდაცვლილი ფეხბურთელის ცხედარი წყალში მოხვედრამდე სწორედ იმ ფერად შენობაში იყო გადამალული, რომელიც, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, დამწვარია.

დიდუბეში დაფიქსირებული მიკროავტობუსი მცხეთის სათვალთვალო კამერებშიც ფიგურირებს:

ტოიოტამ გააკეთა თავის შავი საქმე. ბავშვი ამ დროისათვის არის უკვე გარდაცვლილი. სავარაუდოდ და ჩვენი წყაროების ცნობით, მისი ცხედარი არის ფერად შენობაში. ეს მანქანა, ე.წ. მაღალი პასადკა, არის ან ჯიპი, ან ფურგონი, რაც ჩვენ ვნახეთ. ცხედარი იმყოფება ფერად შენობაში, 5 წუთი სჭირდება შენობიდან ცხედრის გადმოტანას მანქანაში და ეს მანქანა მიემართება თბილისისკენ. ამის შემდეგ იწვება ეს შენობა. იმისათვის, რომ მიკრონაწილაკი დნმ-ის, ცხედრის იქ არ დარჩეს, – ამბობს ნიკა გვარამია.

ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ გიორგი შაქარაშვილის ცხედარი 4 დღე წყალში არ უნდა ყოფილიყო, შაქარაშვილის საქმეზე დაკავებული ძიუდოისტის, გიგა ტატიაშვილის ადვოკატმაც გამოთქვა.

– 4 დღე ეძებეს და ეს ამოტივტივებული არ იყო. აქედან გამომდინარე, ჩვენ გაგვიჩნდა იმის ეჭვი, რომ არ გამოვრიცხეთ, რომ შესაძლებელია 4 დღე და ღამე წყალში არ ყოფილიყო, ან მე-2 დღეს ან მე-3 დღეს სიტყვაზე ვთქვათ, ვინმეს სცოდნოდა, სად იყო ეს მიცვალებული, აეღო და ჩაეგდო წყალში. ეჭვები გაგვიჩნდა, რომ, მაგალითად, მკერდზე ზეწოლის კვალი ჩანდა აშკარად და ამაზე ექსპერტიც საუბრობს. ვიღაცა შეეცადა, რომ გაეკეთებინა ხელოვნური სუნთქვა, პირდაპირი გულის. ამ დროსაც დაზიანება

ავთანდილ ბილანიშვილი

ხდება გულ-მკერდის და შეიძლება ჰემატომური რაღაც გამოიწვიოს, – განაცხადა გიორგი ყიფშიძემ.

* * *

დაკავებული მორაგბეების, ვასილ მახარაძისა და არჩილ გაგნიძის ადვოკატის, ვასილ მამულაშვილის განცხადებით, გავრცელებული ვერსია, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფებს ავთანდილ ბილანიშვილთან, იგივე კაწროსთან, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, სიმართლეს არ შეესაბამება.

– კაწრო ვინ არის, საერთოდ არ ვიცი და რა შემხებლობა აქვს საქმესთან, ესეც არ ვიცი. დარწმუნებული ვარ, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს ამ ადამიანთან არანაირი შემხებლობა და ურთიერთობა არ აქვთ. რაც შეეხება დიდუბეში განვითარებულ მოვლენებს, მას შემდეგ, რაც ამირხანაშვილს ჩამოსვამენ, მასთან მიდის კონკრეტული პიროვნება, თუ ვინ არის ეს პიროვნება, გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

მე დანამდვილებით შემიძლია განვაცხადო, რა ინფორმაციასაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფები მაწვდიან – მათ არანაირი კავშირი არ ჰქონიათ ამ ადამიანთან. ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ გურამ ამირხანაშვილი ჩამოსვეს იმ ადგილას, სადაც მას ამირხანაშვილმა უთხრა. ის, რომ განზრახ ჩამოსვეს კამერებთან, მერე განზრახ შეხვდა ვიღაცას, ვარაუდია, – განაცხადა ვასილ მამულაშვილმა.

როგორც ადვოკატი განმარტავს, ამირხანაშვილი საკუთარ ჩვენებებში დიდუბეში დაუდგენელ პირთან შეხვედრაზე არ საუბრობს.

– ამირხანაშვილის 4 გამოკითხვის ოქმია, ის ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც დიდუბეში დატოვეს, ის კერძო ტაქსიში განთავსდა და იქიდან განახორციელა კონკრეტულ პიროვნებებთან ზარი. ამ ნაწილში შესაძლოა, ის ცრუ ჩვენებას არ იძლევა, რადგან შესაძლოა, მართლა ჩაჯდა ტაქსიში და ამით გადაადგილდა. აქ მთავარი ისაა, თუ როდის წავიდა ტაქსით, მანამდე შეხვდა ვინმეს თუ შემდეგ. კითხვები ამირხანაშვილთან უნდა დაისვას, მათ შორის, თუ ვისთან ჰქონდა კომუნიკაცია, – აღნიშნა ადვოკატმა.

მისი განმარტებით, მიკროავტობუსი, რომელიც დიდუბის ტერიტორიაზე გადაადგილდება, არაგვის მიმდებარედ არ ფიქსირდება.

– დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, მცხეთის გამოსასვლელში არის ერთ-ერთი ბენზინგასამართი სადგური, საიდანაც გამოძიების მიერ ვიდეოკამერების ჩანაწერები ამოღებულია. ჩვენ გავშიფრეთ ეს ჩანაწერები და ის მიკროავტობუსი, რომელიც დიდუბეში კადრებში ჩანს, არაგვის ხიდის ტერიტორიაზე არ მოძრაობს. ეს მსჯელობები მხოლოდ ვარაუდია, – დასძინა ვასილ მამულაშვილმა.

* * *

გუშინ, 8 ივლისს, ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ავთანდილ ბილანიშვილი, იგივე კაწრო, საგამოძიებო უწყებაში გამოკითხვაზე დაიბარეს.

ბილანიშვილი საგამოძიებო უწყებაში საღამოს, ადვოკატთან ერთად მივიდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ავთანდილ ბილანიშვილი გამოკითხვაზე დაბარებულია მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.

„30 წლის კაცმა მამას და პაპას ყელი გამოჭრა და მეზობლის მანქანით გაიქცა“

სასტიკი მკვლელობა მუხრანში

მუხრანში, რამდენიმე დღის წინ, ოკინაშვილების ოჯახში სასტიკი მკვლელობა მოხდა.

როგორც საქართველოს პირველ არხთან საუბრისას მეზობლები ყვებიან, წარსულში ნასამართლევმა პირმა გვიან ღამით მამა და პაპა მოკლა.

– ჩემი ინფორმაციით, მკვლელობა მოხდა ღამით, ოთხ საათზე, თურმე მამა და პაპა მძინარეები მოკლა. იქამდე ჰქონდათ კონფლიქტი. ეს ბიჭი ციხიდან ოთხი დღის გამოსული იყო. სასჯელს მკვლელობისთვის იხდიდა. პატარა ასაკიდანვე ციხეში იყო. 15 წელი გაატარა ციხეში. დაახლოებით 30 წლამდე ასაკისაა. ადგილზე იმყოფებოდნენ სამართალდამცველები. გვამები პროზექტურაშია გადასვენებული. ოჯახის სხვა წევრები არ ჰყოლიათ, – აცხადებს მოკლული მამაშვილის მეზობელი მარიამ ტატიშვილი.

ადგილობრივების ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცმა დანაშაულის ჩადენის შემდეგ მეზობლის მანქანა გაიტაცა და მიიმალა.

– ყელი გამოჭრა ორივეს და შემდეგ გაიქცა, – ამბობენ მეზობლები.

„კურიერმა“ დანაშაულის ჩადენის სავარაუდო მიზეზი გაარკვია. ერთ-ერთი მეზობლის ინფორმაციით, მოკლული პაპა წლების განმავლობაში საკუთარ რძალზე სექსუალურად ძალადობდა, ციხიდან ახლად გამოსულმა შვილიშვილმა კი ამ ფორმით შური იძია.

– პირადი საქმეები ჰქონდათ მაგათ. „სტრანნი“ ისტორია აქვთ, – აცხადებს ერთ-ერთი ადგილობრივი „კურიერთან“.

ჟურნალისტის კითხვაზე, ხომ არ იყო მკვლელობის მიზეზი დედაზე სექსუალური ძალადობა, ადგილობრივი ამბობს, რომ „იყო“.

– კი, ყველამ ყველაფერი ვიცით, მაგრამ ჩუმად არიან. რომ გამოვიდა ციხიდან, ყველაფერი ვიციო, ამბობდა, – აცხადებს ადგილობრივი.

მეზობლები კიდევ ერთ ვერსიაზე საუბრობენ.

როგორც ისინი „ინტერპრესნიუსთან“ აღნიშნავენ, შურისძიების მოტივის გარდა, მომხდარი, შესაძლოა, ფულს უკავშირდებოდეს. კერძოდ, როგორც მეზობლები აცხადებენ, ოჯახმა მიწის ნაკვეთი გაყიდა, მამამ და პაპამ კი თანხა ბრალდებულს არ გაუყვეს.

– ბიჭის დედა 22 წელია, ქმარს დაშორებულია და სხვაგან ცხოვრობს. დანაშაულის ჩადენის შემდეგ ეს დედამისთან მისულა და უთქვამს, სახლში ვიჩხუბე, წასვლას ვაპირებო და ფული გამოურთმევია, – აცხადებენ მეზობლები.

ადგილობრივების ინფორმაციით, 30 წლამდე მამაკაცი განაწყენებული იყო მამაზეც, ვინაიდან მან წლების წინ, შვილის წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენება მისცა. როგორც ცნობილია, მამის და პაპის მკვლელობაში ბრალდებული პირი წლების წინ, მკვლელობისთვის დაპატიმრეს და ამ დრომდე სასჯელს იხდიდა. ის საპატიმროდან რამდენიმე დღის წინ გათავისუფლდა.

გუშინ, 8 ივლისს, საღამოს ცნობილი გახდა, რომ პოლიციამ ორმაგ მკვლელობაში ბრალდებული მამაკაცი დააკავა.

გაუპატიურების მცდელობისთვის დაცვის თანამშრომელს 6 წელი მიესაჯა

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა სიღნაღის რაიონული პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მოთავსებული პირის გაუპატიურების მცდელობაში ბრალდებული ვ.დ. დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სიღნაღის სამმართველოს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 14 ოქტომბერს, სიღნაღის რაიონში მდებარე ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის დაცვის თანამშრომელმა ვ.დ.-მ, ძალადობის გამოყენებით ბენეფიციარის გაუპატიურება სცადა.

სამართალდამცველებმა ვ.დ. 2019 წლის 14 ოქტომბერს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 19 137-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (გაუპატიურების მცდელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. პროკურატურის ინფორმაციით, სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ ვ.დ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ავტომობილი, რომელიც ევაკუატორს გადაჰქონდა, დაიწვა

ავტომობილი, რომელიც ევაკუატორს გადაჰქონდა, აალდა და დაიწვა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა გუშინ, 8 ივლისს, ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე, გორთან მოხდა.

როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში აცხადებენ, შემთხვევის დროს არავინ დაშავებულა.

სააგენტოს ცნობით, ევაკუატორი გადარჩა, მსუბუქი ავტომობილი კი დაიწვა.

წნორში მანქანა ბოძს შეეჯახა

მძღოლი დაიღუპა, 2 არასრულწლოვანი მძიმედაა

7 ივლისს წნორში ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და განათების ბოძს შეეჯახა. შემთხვევა სოფელ მაჩხაანის მიმდებარედ ცენტრალურ გზაზე მოხდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, ავტომობილში მყოფი სამი მგზავრიდან ერთი ადგილზე დაიღუპა, ორი კი მძიმედ დაშავდა. ისინი ადგილობრივ საავადმყოფოში მოათავსეს.

დაშავებული ერთ-ერთი არასრულწლოვნის მდგომარეობა მძიმეა. როგორც ექიმი, ნანა თამაზაშვილი აცხადებს, არასრულწლოვნის თბილისში, სპეციალიზირებულ კლინიკაში გადაყვანა იგეგმება. რაც შეეხება ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაშავებულ მეორე არასრულწლოვანს, მისი მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა.

– სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ ავტოსაგზაო შემთხვევიდან შემოყვანილია ორი არასრულწლოვანი პაციენტი. ერთს აღენიშნება თავის ტვინის შერყევა, მეორე პაციენტს პოლიტრავმა. საშუალო სიმძიმის არის ერთ-ერთი პაციენტის მდგომარეობა, მეორე პაციენტის მდგომარეობა მძიმეა, რადგან პოლიტრავმაა და, სავარაუდოდ, კატასტროფის ბრიგადით გადავა პაციენტი თბილისში სპეციალიზირებულ კლინიკაში, – ამბობს ექიმი.

რიონში ირაკლი ჭოლაძის ცხედარი იპოვეს

„ცოლი შოკშია, დედა უცხოეთშია და არაფერი იცის“

მაშველებმა ორდღიანი სამძებრო ღონისძიებების შემდეგ მდინარე რიონში ირაკლი ჭოლაძის ცხედარი იპოვეს.

მამაკაცი 37 წლის იყო და ქუთაისში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. „პრაიმტაიმს“ განუმარტეს, რომ მამაკაცის გაუჩინარების და გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია დედას ამ დრომდე არ ჰქონდა. გარდაცვლილის დედა საზღვარგარეთ იმყოფება.

– მთელი ოჯახი გაოგნებულია, არავინ არაფერი იცის, რა მოხდა. ვერსიებიც არავის აქვს. შოკშია მეუღლე. დედა საზღვარგარეთ ჰყავს და შვილის დაკარგვის შესახებაც არ იცოდა, – უთხრეს „პრაიმტაიმს“.

მამაკაცის გაუჩინარების შესახებ ოჯახმა 112-ს 6 ივლისს დილის საათებში შეატყობინა. თუმცა, მანამდე, წინა ღამეს მამაკაცი სახლში არ ყოფილა.

სამაშველო სამძებრო ბრიგადამ მამაკაცის ცხედარი მდინარის გადაკეტვის შემდეგ იპოვა. ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის 115-ე მუხლით არის დაწყებული, რაც პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

წინანდლის რედისონში საუნიდან ხანძარი გაჩნდა

ყველა სტუმარი უვნებლად გადარჩა

7 ივლისს საღამოს წინანდალში, სასტუმრო რედისონში, ხანძარი გაჩნდა.

– ცეცხლი გაჩნდა სასტუმროს მე-5 სართულზე, საუნის ლოკაციაზე. ცეცხლი სრულად ლოკალიზებულია. აბსოლუტურად ყველა სტუმარი და ყველა თანამშრომელი უსაფრთხოდაა.

ჩვენ გვაქვს ძალიან მაღალი უსაფრთხოების სისტემა. შესაბამისად, ყველაფერი მოხდა უსაფრთხოდ. ზარალი არის უმნიშვნელო. აბსოლუტურად ყველა დამსვენებელი და ჩვენი გუნდის ყველა წევრი დროულად იქნა გამოყვანილი შენობიდან. რა გახდა ამის მიზეზი, დავადგენთ, – განაცხადა სასტუმროს გენერალურმა მენეჯერმა ელენე ოთარაშვილმა.

საერთაშორისო

ტრამპი: „ახლა ქვეყნის გახსნის დროა“

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ქვეყანაში სკოლების გახსნის აუცილებლობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ კორონავირუსმა, შესაძლოა, გარკვეული სირთულეები მომავალშიც გამოიწვიოს, მაგრამ შეერთებული შტატები აღარ დაიხურება.

– ახლა ქვეყნის გახსნის დროა, არასდროს დავიხურებით. იქ, სადაც ხანძარი გაჩნდება, ჩავაქრობთ, მაგრამ სკოლები უნდა გავხსნათ, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

მისივე თქმით, შეერთებულმა შტატებმა ათასობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეძლო.

– ახლა 130.000 ამერიკელია დაღუპული. ვფიქრობ, ეს რიცხვი, შესაძლოა 2.5 ან 2 მილიონიც კი ყოფილიყო, – აღნიშნა დონალდ ტრამპმა.

დონალდ ტრამპმა ასევე აღნიშნა, რომ შესაძლოა, კონკრეტულ ადგილებში კორონავირუსმა სიძნელეები მომავალშიც შექმნას, თუმცა გუბერნატორებმა შესაბამისი ზომები უნდა მიიღონ.

აშშ-მ შესაძლოა უკრაინას სამხედრო დახმარება გაუზარდოს

ვაშინგტონი კიევისთვის სამხედრო დახმარების გაზრდას აპირებს. შესაძლოა უკრაინამ 275 მილიონი დოლარის დახმარება მიიღოს. ეს 100 მილიონით მეტია, ვიდრე ამჟამინდელი დახმარება.

მანამდე სათანადო დოკუმენტი კონგრესმა უნდა მიიღოს, შემდეგ სენატმა დაამტკიცოს, ხოლო პრეზიდენტმა ტრამპმა კი ხელი მოაწეროს. ძალაშიც მხოლოდ ამის შემდეგ შევა.

უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაზრდის პერსპექტივამ კრემლი აღაშფოთა. თავისი პოზიცია საჯაროდ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა დააფიქსირა.

– თუ აშშ უკრაინას სამხედრო დახმარებას გაუზრდის, ჩვენ დონბასელ მოლაშქრეებს ავიაციას და რაკეტებს მივაწვდით! – დაიმუქრა ლავროვი.

აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი ბაიდენი თვლის, რომ უკრაინისთვის სამხედრო დახმარების 100 მილიონი დოლარით გაზრდა არაკმარისია.

– უკრაინამ რამდენიმე მილიარდის სამხედრო დახმარება უნდა მიიღოს, – განაცხადა ბაიდენმა.

ბრაზილიის პრეზიდენტს კორონავირუსი შეეყარა

ბრაზილიის პრეზიდენტის ბოლსონარუს ჯანმრთელობის მდგომარეობა უკანასკნელ ხანს გაუარესდა. მას ჰქონდა მაღალი სიცხე, თავის ტკივილი, სისუსტე. ჩატარებულმა ტესტმა კორონავირუსზე დადებითი შედეგი აჩვენა.

ბოლსონარუმ არ უარყო, რომ კორონავირუსი შეეყარა. ამავე დროს, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თავს უკეთ გრძნობს და მალე გამოჯანმრთელდება.

საფრონოვს 2 თვით წინასწარი პატიმრობა შეეფარდა



როგორც ცნობილია, რუსულმა ფსბ-მ როსკოსმოსის თავკაცის დიმიტრი როგოზინის მრჩეველი საფრონოვი დააკავა. მას ბრალად ედება შპიონაჟი. ბრალდების მხარე ამტკიცებს, რომ საფრონოვმა სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლოება ჩეხეთს მიჰყიდა.

მოსკოვის სასამართლომ საფრონოვი 2 თვით წინასწარ პატიმრობაში აიყვანა. გამოძიების დამთავრების შემდეგ საფრონოვი სასამართლოს წინაშე წარდგება.

მას სამშობლოს ღალატის ბრალდებით გაასამართლებენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ყალეიდოსკოპი

გოგონაზე თავდამსხმელ ნიანგს მამამ და პაპამ სცემეს

მიანმის ქალაქ ბოგალეში ნიანგი ცხრა წლის გოგონას თავს დაესხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ცხრა წლის მა ია მინ ტჰუ სოფელ ივატიტში თავისი სახლის მახლობლად მდინარეში ბანაობდა. ამ დროს მას თავს ნიანგი დაესხა და მისი წყალქვეშ ჩათრევა ცადა.

გოგონას ბებია დაუ ტან ვინი ბავშვის გადარჩენას თავადვე შეეცადა.

– შევშინდი და დასახმარებლად ვუხმობდი, თანაც გოგონას ხელს არ ვუშვებდი. ჩემს ძახილზე მისმა მამამ და პაპამ მოირბინეს და ნიანგს ცემა დაუწყეს. მხოლოდ ამის შემდეგ გაუშვა მან პირი გოგონას და წავიდა, – განაცხადა გოგონას ბებიამ.

რეპტილიის თავდასხმის შედეგად გოგონამ მარცხენა ხელის მოტეხილობა და მრავლობითი ჭრილობები მიიღო. ის საავადმყოფოში მოათავსეს.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ბოგალეში ეს ნიანგის ადამიანზე თავდასხმის პირველი შემთხვევა.

ერთგულმა ძაღლმა პატრონის დაღუპვის შემდეგ თავი მოიკლა

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ კანპურში ერთგული ძაღლი პატრონის გარდაცვალების შემდეგ მალევე დაიღუპა.

ანიტა რაჯს თირკმლების პრობლემა ჰქონდა და ის 1 ივლისს გარდაიცვალა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, როდესაც რაჯის ცხედარი სახლში მიასვენეს, ძაღლმა ხმამაღლა ყმუილი მორთო. გარდაცვლილის შვილმა ძაღლი სხვენში ჩაკეტა, მაგრამ მან რაღაცნაირად მაინც მოახერხა იქიდან თავის დაღწევა, მეოთხე სართულზე გაჩერდა და ყეფა ატეხა.

როდესაც ნათესავებმა გარდაცვლილის ცხედარი კრემაციაზე წაასვენეს, ძაღლი მეოთხე სართულიდან გადახტა და დაიღუპა.

გარდაცვლილის ქმარმა რაჯკუმარ საჩანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მისმა ცოლმა ეს ძაღლი 13 წლის წინ გადაარჩინა და შეიკედლა. ის მას ძალიან შეეჩვია და განსაკუთრებულად ზრუნავდა მასზე. რაჯკუმარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძაღლი მათი ოჯახის სრულფასოვანი წევრი იყო.

ქალმა დათვის სახლში შეშვებისთვის თავი სასამართლოში ამოყო

ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ დინგმან თაუნშიპის მკვიდრ ქალბატონს 12 თვით გამოსაცდელი ვადა მიესაჯა და ჯარიმის სახით 500 დოლარის გადახდა დაეკისრა იმის გამო, რომ მან საკუთარ სახლში არაერთხელ შეუშვა გარეული დათვი ბარიბალი და მას საკვებით უმასპინძლდებოდა.

საქმის მასალების თანახმად, დესმონდ შერი და მასთან მცხოვრები ნიკოლას კლემენტი ცხოველს ბავშვების თანდასწრებით სახლში შესვლის უფლებას აძლევდნენ.

პოლიციამ წყვილის სახლში ჩხრეკა ჩაატარა და რამდენიმე გაჯეტი ამოიღო, მათ შორის მობილური ტელეფონები, რომლებშიც შენახული იყო დათვისთვის საკვების მიცემის ამსახველი ფოტოსურათები და ვიდეოები, მათ შორის ის მომენტებიც, როდესაც თავიანთ 15 წლის გოგონასა და ბიჭს, რომლის ასაკი უცნობია, დათვისთვის საკვების მიცემის უფლებას აძლევენ.

დესმონდს ბრალად დასდეს, რომ მან ორჯერ საფრთხეში ჩააგდო ბავშვებისა და სხვა ადამიანის სიცოცხლე. გარდა ამისა, მას ბრალად ავტომობილის უკანონოდ მართვა და გარეული ბუნების ცხოვრებაში ჩარევა წაუყენეს.

კბილის ექიმთან წასული მამაკაცი გამდიდრდა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ კონკორდის მკვიდრი კბილის ექიმთან წავიდა და ამ დროს გაიგო, რომ ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა.

მშენებელმა კენეტ ჰერცოგმა რამდენიმე მომენტალური ლატარიის ბილეთი შეიძინა. ის კბილის ექიმთან მისვლას აპირებდა, როდესაც მეუღლემ ტინამ ბილეთების შესახებ შეახსენა.

– ჩვენ ავტოსადგომთან მივედით და ამ დროს ცოლმა მკითხა, ლატარიის ბილეთები ხომ არ მქონდა ნაყიდი. მან მითხრა: „ვფიქრობ, რომ 250 დოლარის მოგება შეგვეძლო“, მე კი პასუხად წამოვიძახე: „და რატომ არ შეიძლება, რომ უფრო მსხვილი თანხა მოვიგოთ?“ – იხსენებს ჰერცოგი.

მათ ბილეთები შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ მათმა მოგებამ 138,9 ათასი დოლარი შეადგინა. ლატარიის გამარჯვებულის თქმით, ეს მოგება მათთვის სწორედ რომ დროული იყო, ვინაიდან ის და მისი მეუღლე ფლორიდაში აპირებენ საცხოვრებლად გადასვლას, სადაც დედამისი ცხოვრობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

შაკილ ონილი და ზაზა ფაჩულია



ლოს-ანჯელეს ლეიკერსის ლეგენდარულმა ცენტრმა, შაკილ ონილმა, ერთ-ერთ ინტერვიუში რამდენიმე საინტერესო თემის შესახებ ისაუბრა. შაკს დრეიმონდ გრინის მიერ გაკეთებული განცხადების შესახებაც ჰკითხეს და 48 წლის ყოფილმა კალათბურთელმა პასუხში ჩვენებური ზაზა ფაჩულიაც ახსენა.

გეტყვით, რომ, დრეიმონდ გრინმა თქვა, საჩემპიონო გოლდენ სტეიტ უორიორსი იმ ლეიკერსს დაამარცხებდა, სადაც შაკი და კობი ბრაიანტი თამაშობდნენ...

შაკილ ონილი:

– ჩემთვის რთული დასაჯერებელია, რომ ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი, პლუს მე და კობი ბრაიანტი სტივ კერისა და მის „ბანდას“ ვერ გავუმკლავდებოდით. კობი სტეფ კარის აიყვანდა და ყველაფერში აჯობებდა. ფიშერი კლეი ტომპსონს ჩაიბარებდა და მას გაანეიტრალებდა. ფოქსი დრეიმონდ გრინის წინააღმდეგ ითამაშებდა და მას 6 პერსონალურ ფოლს პირველივე ტაიმში „აჰკიდებდა“. ჰორასი კევინ დურანტს თავისებურად მიუდგებოდა. თუმცა, მოდი, ვაღიაროთ, რომ კევინ დურანტი მხეცია და მის წინააღმდეგ რთულია რამე გააკეთო. ბოლოს კი, ფაჩულიას შევახსენებდი, რატომ ვარ დიდების დარბაზის წევრი მე და არა ის.

შეგახსენებთ, რომ შაკილ ონილმა ლეიკერსთან ერთად ჩემპიონობა ზედიზედ 3-ჯერ იზეიმა. ზაზა კი, გოლდენ სტეიტთან ერთად ნბა-ს ჩემპიონი 2-ჯერ გახდა.

ხელგაშლილი პერესი

ბევრს ეცადა მადრიდის რეალის ხელმძღვანელობა, პსჟ-დან კილიან მბაპე გადაებირებინა, მაგრამ ბოლოს ცხადი გახდა, რომ პარიზელები სუპერვარსკვლავს არ გაყიდიან და თავად ეცდებიან მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას.

არადა, მოქმედი კონტრაქტის ამოწურვამდე სულ 2 წელიწადი დარჩა. რა ისეთი ხელფასი უნდა შესთავაზოს ფრანგულმა კლუბმა, რომ ზიდანის სურვილმა და ფლორენტინო პერესის ჯიბემ ერთად ვერ გადაწონოს?

და აი, აქ უკვე გვარიანად ნერვებმოშლილმა დონ ფლორენტინომ საკუთარი წაუგებელი სვლა გააკეთა – კილიან მბაპე 2022 წელს რეალში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადასვლის შემთხვევაში ზღაპრული ხელფასის გარდა, ერთჯერად ბონუსად 100 მილიონ ევროს მიიღებს.

საფეხბურთო ევროპას ამგვარი გულუხვობა არ ახსოვს. პსჟ კი, თუ ყველაფერი ასე დასრულდა, ფეხბურთელში გროშსაც ვერ მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში მბაპემ პსჟ-ის მაისურით გამართულ 33 მატჩში 30 გოლი გაიტანა და 17 საგოლე გადაცემაც შეასრულა.

ბარსა ლაუტაროს მიიყვანს და გრიზმანს არ გაუშვებს

ესპანური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბარსელონა და ინტერი 22 წლის არგენტინელი თავდამსხმელის, ლაუტარო მარტინესის გამოსასყიდი თანხის ვადის გახანგრძლივებაზე შეთანხმდნენ.

ლაუტაროს სანაცვლოდ მისი გამოსასყიდი თანხის, 111 მილიონი ევროს გადახდის ვადა გუშინ ამოიწურა, რის შემდეგაც მისი ღირებულება საგრძნობლად უნდა გაზრდილიყო, მაგრამ ახლა ასე აღარ მოხდება. „ბლაუგრანა“ „ნერაძურისთან“ შეთანხმდა, რომ ფეხბურთელს აღნიშნულ ფასად 4 ოქტომბრამდე გაიფორმებს.

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კატალონიური კლუბი ლაუტარო მარტინესის შეძენას არ ჩქარობს. კლუბს ამ მომენტისთვის საჭირო ფინანსები არ აქვს და რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვის შემდეგ, კატალონიელები უკვე ახალი ფეხბურთელების დამატებაზე გადაერთვებიან.

რაც მთავარია, გუნდი ფრანგი შემტევის, ანტუან გრიზმანის გაყიდვას არ გეგმავს.

ატლეტიკოსთან და სელტასთან შეხვედრაში გრიზმანის ძალიან მცირე სათამაშო დროით ბევრი უკმაყოფილო დარჩა, თუმცა, ფრანგული მედიის ცნობით, ბარსელონასა და ფეხბურთელის გარემოცვას შორის გაიმართა შეხვედრა, რომელმაც წარმატებით ჩაიარა.

გავრცელებული ინფორმაციით, ბარსელონა ანტუანს საკვანძო მოთამაშედ მიიჩნევს და მის გაშვებას არც კი განიხილავს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

დათა თავაძე: „კულტურის სამინისტროს კომუნიკაცია აქვს მხოლოდ სახელმწიფო თეატრების ხელმძღვანელებთან“

რეჟისორი დათა თავაძე კულტურის სამინისტროს მიერ მხოლოდ სახელმწიფო თეატრების ხელმძღვანელებთან კომუნიკაციით და დამოუკიდებელ დასებთან საუბრის სურვილის არქონით უკმაყოფილოა, რაზეც განცხადება ინტერნეტში საჯაროდ გააკეთა:

– წარმატებებს ვუსურვებ კოლეგებს, ყველა ჩემი ძვირფასი მეგობარია და ერთი წამით არ მინდა ვინმემ წაიკითხოს ჩემი მხრიდან ეს წერილი, როგორც რომელიმე შემოქმედებითი პროექტის წინააღმდეგ გამოხატული პოზიცია, ეს არც ჩემი საქმეა და მხოლოდ კარგი მინდა ყველა დასისთვის და მათ ეს იციან! გულწრფელად ვგულშემატკივრობ ყველა სპექტაკლს, რომელიც ჩამონათვალშია და დარწმუნებული ვარ, ერთი მეორეზე უკეთესი პროექტია.

უბრალოდ, მინდა ყურადღება გავამახვილოთ კულტურის მართვის პოლიტიკის არარსებობის კიდევ ერთ დასტურზე.

სპეციალურად მოვძებნე ჩემი ძველი წერილი – 2020 წლის 3 მარტს დამიწერია პირველად ფრილანსერების შესახებ. შეზღუდვების გამოცხადების მესამე დღიდან დავიწყე პირადად და საჯაროდ, ღია და დახურულ დისკუსიებში ინტენსიური ლაპარაკი დამოუკიდებელ/ თვითდასაქმებულ ხელოვანებსა თუ დამოუკიდებელ სახელოვნებო ორგანიზაციებზე. ვილაპარაკე ზედმეტად ბევრიც კი! გადავაბიჯე ჩემს პირად პრინციპულ პოზიციებსაც და ვიჯექი იმ ხალხის პირისპირ, ვისთანაც მეგონა, არასოდეს მომიწევდა ლაპარაკი, მაგრამ ამ ვითარებაში გადავაბიჯე საკუთარ თავს, იმიტომ, რომ იმედი მქონდა, რამე შეიცვლებოდა, ვინმე ამყვებოდა, მოისმენდა და გაიგებდა და პრიორიტეტად სწორედ იმ სახელოვნებო ჯგუფებს დაისახავდა, რომლებიც ყველაზე მეტად დააზარალა ფინანსურად ამ ვითარებამ. იმედი მქონდა რამეს იზამდნენ, რომ საბოლოოდ არ დაგვეკარგა დამოუკიდებელი პროცესი. მაგრამ, ჯერ „სათამაშო ბიზნესთან“ გაათანაბრეს ეს სფერო, შემდეგ მილიონები მოაჭრეს. ხმა არ ამოგვიღია არაფერზე!

ჰოდა, ახლა მივიღეთ ასეთი შედეგი – განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დააფინანსა მხოლოდ სახელმწიფო თეატრების მიერ წარმოდგენილი პროექტები. ამავე სამინისტროს კომუნიკაციაც აქვს მხოლოდ სახელმწიფო თეატრების ხელმძღვანელებთან და არასოდეს არ საუბრობს დამოუკიდებელ დასებთან, რითიც აღმაშფოთებელ ინფორმაციულ უთანასწორობას ქმნის, ისედაც უთანასწორო რესურსების მქონე ორგანიზაციებში. არც ერთი ბრიფინგიც არ არსებულა ამ თემაზე სამინისტროს მხრიდან, არამედ ჭორის დონეზე იგებდნენ დამოუკიდებელი დასები, როდის ექნებათ მუშაობის უფლება. დღესაც არავინ იცის დაზუსტებით, აქვთ თუ არა სპექტაკლების თამაშის თუ „შემოქმედებითი საქმიანობის“ უფლება. არავითარი ოფიციალური შეტყობინება, ან წყარო არ არსებობს, რომელიც დაზუსტებით ეტყვით, რა უნდა ქნან – მიატოვონ ეს სფერო და სასწრაფოდ სხვა არსებობის წყარო იპოვონ, თუ რამე იმედი ჰქონდეთ, რომ ოდესმე შეძლებენ თავიანთი გეგმების განხორციელებას. ახლა კი, თურმე ხელშეწყობის ერთადერთი შანსიც წაერთვათ.

ვიმეორებ მეათასედ, ეს პოლიტიკა განდევნის საუკეთესო ახალგაზრდულ ნაწილს ამ სფეროდან. წლებია ვამბობთ ამას და არაფერი არ იცვლება და ხვალ, უბრალოდ, აღარ გვექნება აღარაფერი.

ამოიღეთ ხმა, მართლა სირცხვილია უკვე...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იმერული დერბიდან ქართულ კლასიკომდე

საქართველოს ეროვნული ლიგის მე-5 ტურიც 4 დღეზე იქნება გაწელილი. დაიწყება სამტრედიაში და დასრულდება ქუთაისში – ქართული კლასიკოთი.

9 ივლისი

სამტრედია-ჩიხურა

18:00 სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

იმერული დერბი აუტსაიდერების მონაწილეობით. თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ აქამდე სამტრედია უკეთესად გამოიყურება და მცირე ფავორიტადაც უნდა მივიჩნიოთ.

კახი კაჭარავას გუნდს 4 ქულა, ხოლო ჩიხურას – 1. საჩხერლები ელიგის დატოვების მთავარი კანდიდატები ჩანან. სამტრედიაც იქვე იტრიალებს და სერიოზული ბრძოლების გადატანა მოუწევს. აქედან გამომდინარე, ორივე გუნდისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მატჩია.

ლოკომოტივი-დინამო (ბთ)

21:00 თბილისი. მიხეილ მესხი 2

მაღალი ადგილებისთვის პრეტენზიების მქონე გუნდები ბოლო ტურებში არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებიან. თუმცა, საქმის გამოსწორება ჯერ კიდევ შეუძლიათ, რადგან სხვაობა დიდი არ არის. ეს ნიშნავს, რომ კიდევ შეცდომის დაშვების უფლება არ აქვთ.

ლოკოს ახალი მწვრთნელი ჰყავს – გიორგი ჭიაბრიშვილი, რომელმაც მხოლოდ 2 ვარჯიშის ჩატარება მოასწრო. რამდენად ნაყოფიერად, ამას მიხეილ მესხზე ვნახავთ.

გია გეგუჩაძის გუნდი კი მოუგებელია. წაუგებელიც – 4 ტურში 4 ფრე აქვს ნათამაშები. ისევ ფრე? თუ საით გადაიხრება სასწორის პინა?

10 ივლისი

საბურთალო-თელავი

18:00 თბილისი. მიხეილ მესხი

საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს. დებიუტანტი თელავი, ჯერჯერობით, უკეთ გამოიყურება, ვიდრე ბოლო წლების საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი. საერთოდ, ჩემპიონატის განახლების შემდეგ, საბურთალო ძალიან ცუდად თამაშობს. მართალია, ორივე ფავორიტ დინამოსთან ჩაატარა, მაგრამ თანაქალაქელებთან ძალიან სუსტად ჩანდნენ. დიდად არც ზღვისპირეთში გაუბრწყინიათ და ქულა რომ წამოიღეს, უფრო იღბლის ამბავია.

თელავმა კი, ეროვნულ ლიგაში პირველი გამარჯვება წინა ტურში მოიპოვა და იშტაზეა მოსული. კახელები საინტერესოდაც თამაშობენ და გარკვეულ სიმპათიებს ტოვებენ. ვნახოთ, რა იქნება ახლა, როდესაც მეტოქეს უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს და 3 ქულა სჭირდება.

11 ივლისი

დილა-მერანი

21:00 გორი. თენგიზ ბურჯანაძე

გორელები მშვენივრად გამოიყურებიან და თბილისის დინამოსთან ერთად ლიდერობენ კიდეც ჩემპიონატს. თუმცა, ჯერ მხოლოდ 4 ტურია გასული და არავინ იცის, სანამდე ეყოფათ ის დენთი, რომელიც სტარტზე ჰქონდათ. ვერც იმას ვიტყვით, რომ აქამდე დილამ ქულები დაუმსახურებლად აგროვა. მოკლედ, ნორმალური გუნდია...

მერანმა კარგად დაიწყო, მაგრამ ბოლო ტურში იმდენად უსუსურად ითამაშა, 3 ტურის ნაშრომი წყალში ჩაყარა. ასეთი თამაშით გავარდნის უმთავრესი კანდიდატი იქნება.

12 ივლისი

ტორპედო-დინამო (თბ)

21:00 ქუთაისი. რამაზ შენგელია

ქართული კლასიკო... არ აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ მდგომარეობაში არიან გუნდები, მათი ჯახი ყოველთვის საინტერესოა. ცხადია, უფრო მაყურებლებით სავსე ტრიბუნაზე, მაგრამ არც მათ გარეშე უნდა იყოს მოსაწყენი.

სადღეისოდ, დინამო უკეთესად გამოიყურება. ამასთან, დედაქალაქელთა თავკაცმა უკეთ იცის გუნდი, რომელსაც გასულ სეზონში წვრთნიდა. მოკლედ, დინამოს 2 უპირატესობა აქვს. ტორპედოს 1 ჰქონდა და ისიც ცარიელი იქნება...

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	4	2	2	0	8-1	8
2.დილა	4	2	2	0	6-2	8
3.ლოკომოტივი	4	2	1	1	7-7	7
4.თელავი	4	1	3	0	5-3	6
5.საბურთალო	4	1	2	1	3-5	5
6.დინამო (ბთ)	4	0	4	0	3-3	4
7.ტორპედო	4	1	1	2	4-5	4
8.სამტრედია	4	1	1	2	4-7	4
9.მერანი	4	0	3	1	1-3	3
10.ჩიხურა	4	0	1	3	4-9	1

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის განწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო განცხადებები

მარიკა ემხვარი და თემურ ჯანაშია მწუხარებით იუწყებიან, რომ ოჯახის უახლოეს მეგობარს სოსო ხარებავას გარდაეცვალა მამა, კეთილშობილი და საზოგადოებაში წარმოჩენილი პიროვნება, ბატონი

კოტე ხარებავა

და გულითად სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

გიორგი ჭიაბრიშვილი: „ლოკომოტივის ხედვები ჩემსას ემთხვევა"

თბილისის ლოკომოტივს რომ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, უკვე იცით. გიორგი ჭიაბრიშვილი ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი და წარმატებული სპეციალისტია. ახალი თავკაცი საგურამოს საწვრთნელ ბაზაზე მედიის წარმომადგენლებს შეხვდა, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ესაუბრა და სამომავლო გეგმებიც გაანდო.

გიორგი ჭიაბრიშვილი:

– მოლაპარაკებები სულ რამდენიმე დღე გაგრძელდა და დანამდვილებით გეტყვით, რომ მას მერე, რაც საბურთალოდან წამოვედი, ლოკომოტივიდან პირველად რამდენიმე დღის წინ დამიკავშირდნენ. ამ გუნდს საკმაოდ კარგად ვიცნობ, რადგან ერთმანეთის წინააღმდეგ ხშირად გვითამაშია. ვიცი გუნდის ფილოსოფია, ის, რომ ამ კლუბს მუდმივად სამომავლო შედეგი აინტერესებს და სწორედ ამაზეა ორიენტირებული. სიმართლე გითხრათ, ეს ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტია პირადად ჩემი სამწვრთნელო კარიერის განსავითარებლად და ჩემი შესაძლებლობების რეალიზებისთვის. აქ ყველანაირი შესაძლებლობა მეძლევა იმისთვის, რომ ყველა ის საფეხბურთო მიზანი და ნააზრევი, რაც გონებაში მაქვს, პრაქტიკაში გადმოვიტანო.

ჩემი და ამ კლუბის ამბიციები ერთმანეთს დაემთხვა. ლოკომოტივს ძალიან დიდი ხანია ტიტული არ მოუგია და, საერთოდ, ქვეყნის ჩემპიონიც არ გამხდარა. ვფიქრობ, კონტრაქტის ეს ხანგრძლივობა და იდეები, რომელიც მე და კლუბის ხელმძღვანელობას გვაქვს, გვაძლევს იმის შანსს, რომ გავხდეთ საქართველოს ჩემპიონები. დიახ, გუნდს ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე აქვს სათამაშო და ეს ჩემთვის ერთ-ერთი მოტივაცია გახლდათ, თუმცა უფრო დიდი სტიმული შიდა ასპარეზზე საუკეთესოობა. ევროტურნირებზე ყველა ქართული გუნდი განსხვავებულ მოცემულობაშია. ყოველთვის შესარჩევი ეტაპები ჩვენთვის ვირტუალურია, რადგან წინასწარ არ ვიცით, თუ რა დონის გუნდი შეგვხვდება და ხშირად ეს პერიოდი ქართველი გულშემატკივრისთვის იმედგაცრუებით სრულდება. ჩემი მიზანია, რომ ამ პერიოდში ისეთი გუნდის ჩამოყალიბება შევძლო, რომელიც ევროტურნირის ჯგუფურ ეტაპზე ლოგიკურად გავა და არა წვალებით.

წინა სეზონში ლოკომოტივს ლევან კორღალიძის სახით ძალიან კარგი მწვრთნელი ჰყავდა. მან მშვენივრად იმუშავა და გუნდს გამართული, შემტევი ფეხბურთი ათამაშა. საბურთალოსა და ლოკომოტივის მატჩები ხშირად ერთმანეთსაც ჰგავდა, რადგან ჩვენ ორივეს საერთო ხედვები გვაქვს და აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ის შემტევი ფეხბურთის მოდელი, რომელიც საბურთალოში განხორციელდა, აქაც შესაძლოა ამოქმედდეს.

ჩვენი მხრიდან შეგახსენებთ, რომ მხარეებს შორის 3-წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გაფორმდა. ჭიაბრიშვილი გუნდს ბათუმის დინამოსთან დღევანდელ მატჩში გაიყვანს.

ჯენინგი უკლუბოდაა

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ნატურალიზებული წევრი მეტ ჯენინგი ბასკონიას ტოვებს. აღნიშნულ ინფორმაციას ესპანური მედია ავრცელებს.

წყაროს ცნობით 32 წლის ამერიკელს კლუბთან კონტრაქტი ეწურება და ესპანური გუნდის ხელმძღვანელობა მის გახანგრძლივებას არ გეგმავს. ბასკურმა კლუბმა ხელშეკრულების ავტომატურად 1 წლით გახანგრძლივებაზეც უარი განაცხადა.

სად გააგრძელებს კარიერას ჯენინგი, ჯერჯერობით, უცნობია. ინფორმაცია, არც მისი სხვა გუნდში შესაძლო ტრანსფერისა და დაინტერესების შესახებ გავრცელებულა.

შეგახსენებთ, ჯენინგი ბასკონიაში კრასნოდარის ლოკომოტივიდან 2017 წელს გადავიდა, მანამდე კი აპოელის, ანადოლუ ეფესის, სიენას, ციბონას და რიო გრანდეს რიგებში უთამაშია. კარიერის განმავლობაში კი, იტალიის ჩემპიონატი, იტალიის თასი, თურქეთის თასი და ესპანეთის ჩემპიონატი მოიგო.

შედეგები

7 ივლისი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

კრ.პალასი-ჩელსი	2:3
უოტფორდი-ნორვიჩი	2:1
არსენალი-ლესტერი	1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	33	29	2	2	72-25	89
2.სიტი	33	21	3	9	81-34	66
3.ჩელსი	34	18	6	10	63-46	60
4.ლესტერი	34	17	8	9	64-32	59
5.მანჩესტერი	33	15	10	8	56-33	55
6.ვულვზი	33	13	13	7	45-36	52
7.არსენალი	34	12	14	8	50-42	50
8.ტოტენჰემი	33	13	9	11	52-44	48
9.შეფილდი	33	12	12	9	34-33	48
10.ბარნლი	33	13	7	13	37-46	46
11.ევერტონი	33	12	8	13	40-48	44
12.ნიუკასლი	33	11	10	12	35-45	43
13.საუთჰემპტონი	33	13	4	16	42-55	43
14.კრ.პალასი	34	11	9	14	30-43	42
15.ბრაიტონი	33	8	12	13	35-44	36
16.ვესტ ჰემი	33	8	7	18	40-58	31
17.უოტფორდი	34	7	10	17	31-53	31
18.ასტონ ვილა	33	7	6	20	36-62	27
19.ბორნმუთი	33	7	6	20	32-59	27
20.ნორვიჩი	34	5	6	23	26-63	21

ინგლისი. ჩემპიონიგა

ნოტინგემი-ფულემი	0:1
ბრენტფორდი-ჩარლტონი	2:1
ლუთონი-ბარნსლი	1:1
რედინგი-ჰადერსფილდი	0:0
კარდიფი-ბლექბერნი	2:3

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვალენსია-ვალიადოლიდი	2:1
სელტა-ატლეტიკო	1:1

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	34	23	8	3	62-21	77
2.ბარსელონა	34	22	7	5	78-36	73
3.ატლეტიკო	35	16	15	4	47-26	63
4.სევილია	34	16	12	6	49-33	60
5.ვილიარეალი	34	16	6	12	54-44	54
6.ხეტაფე	34	14	11	9	42-31	53
7.სოსიედადი	34	15	6	13	51-43	51
8.ვალენსია	35	13	11	11	45-51	50
9.ბილბაო	34	12	12	10	38-29	48
10.გრანადა	34	13	8	13	42-40	47
11.ოსასუნა	34	11	12	11	40-47	45
12.ლევანტე	34	12	7	15	42-47	43
13.ვალიადოლიდი	35	8	15	12	29-39	39
14.ბეტისი	34	9	11	14	44-55	38
15.სელტა	35	7	15	13	34-44	36
16.ეიბარი	34	9	8	17	34-51	35
17.ალავესი	34	9	8	17	32-51	35
18.მალიორკა	34	8	5	21	35-59	29
19.ლეგანესი	34	6	10	18	25-49	28
20.ესპანიოლი	34	5	9	20	27-54	24

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

მირანდესი-ელჩე	1:0
ფუენლაბრადა-რასინგი	1:0
ესტრემადურა-კადისი	0:1

იტალია. სერია ა

ლეჩე-ლაციო	2:1
მილანი-იუვენტუსი	4:2

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	31	24	3	4	65-30	75
2.ლაციო	31	21	5	5	67-33	68
3.ინტერი	30	19	7	4	63-31	64
4.ატალანტა	30	19	6	5	83-39	63
5.მილანი	31	14	7	10	43-39	49
6.რომა	30	14	6	10	54-42	48
7.ნაპოლი	30	14	6	10	48-40	48
8.ვერონა	30	11	9	10	37-36	42
9.ბოლონია	30	11	8	11	43-47	41
10.სასუოლო	30	11	7	12	55-52	40
11.კალიარი	30	10	9	11	48-46	39
12.პარმა	30	11	6	13	41-40	39
13.ფიორენტინა	30	8	10	12	37-43	34
14.სამპდორია	30	9	5	16	36-51	32
15.უდინეზე	30	8	8	14	27-43	32
16.ტორინო	30	9	4	17	34-56	31
17.ლეჩე	31	7	7	17	40-71	28
18.ჯენოა	30	6	9	15	37-58	27
19.ბრეშა	30	5	6	19	27-58	21
20.სპალი	30	5	4	21	23-53	19

ხუსეთი. პრემიერლიგა

ტამბოვი-ახმატი	1:2
არსენალი-კრილია	2:4

მვეიცარია. სუპერლიგა

ქსამაქსი-ციურიხი	1:1

თურქეთი. სუპერლიგა

გენჩლერი-ფენერბახჩე	1:1
ბაშაქშეჰირი-დენიზლი	2:0

მოამზადა

მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მოსახლეობის საერთო სახალხო გამოკითხვა; 2. პატარა მოთხრობა; 3. საჭრისის სამაგრი სახარატო ჩარხზე; 4. კონკურსის მონაწილეთა შემფასებელ სპეციალისტთა ჯგუფი; 5. ჟორჟ სანდის რომანი; 6. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. პირველი იარუსის ლოჟები თეატრში; 9. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 13. ვაშლის ღვინო; 17. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. დედამიწის მანათობელი.

თარაზულად: 1. პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის შემდგენელი და გამომცემელი იტალიელი მესტამბე; 3. მიმღებგამშვები პუნქტი საზღვარზე; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 10. სახელგანთქმული ექიმის ძველებური სახელწოდება; 11. ბოსტნეული მცენარე; 12. ბალეტ „დონ-კიხოტის" მუსიკის ავტორი; 14. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 15. ზესტაფონის ძველებური სახელწოდება; 16. პოეტური ქმნილება; 19. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 20. ცნობილი ქართველი კარდიოლოგი, აკადემიკოსი; 21. ქართული ნაციონალური კერძი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კალიბრი; 2. პლაზმა; 3. ტახომეტრი; 4. ვარანი; 5. პიგმენტი; 7. ზიჩი; 11. თურნავა; 13. ლიტანია; 15. ქლესა; 16. ბამბა; 18. რკონი; 19. მამნე.

თარაზულად: 6. აიაზმა; 8. კლოშარი; 9. წერნაგი; 10. ბაგიათი; 12. დაფნე; 14. ჰიმენე; 17. როტერდამი; 20. ფხაკაძე; 21. ასკანა; 22. ნიანგი; 23. ბასტილია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პიგმალიონი; 2. კავანი; 3. გრდემლი; 4. ბანგი; 5. სიტროენი; 6. იუანი; 7. ჰილტონი; 9. ხერესი; 13. გაყრა; 17. საგა; 18. კია.

თარაზულად: 1. პარსეკი; 3. გალები; 8. სინუსი; 10. პარტერი; 11. ბადრო; 12. ნიამორი; 14. ფიესტა; 15. ამირანი; 16. ნესვი; 19. სურამი; 20. ჯინჯილა; 21. ყაბახი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0594

ევრო — 3.4507

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8350

100 რუსული რუბლი — 4.3040

ამინდის პროგნოზი 9 ივლისისთვის

ზლატანი: „მილანში ცოტა ადრე რომ მოვსულიყავი, სკუდეტოს მოვიგებდით“



მილანმა მოგებების შთამბეჭდავი სერია გამოაცხო და გუნდს სერიოზული პროგრესი აქვს. განსაკუთრებით ბოლო შეხვედრა იყო ტრიუმფალური, როდესაც მილანმა საკუთარ მოედანზე იუვენტუსი დაამარცხა ანგარიშით 4:2.

ამ მატჩის შემდეგ ზლატან იბრაჰიმოვიჩმა განაცხადა, რომ ის სეზონის დასაწყისიდან მილანში რომ ყოფილიყო, შესაძლოა ამ გუნდს იტალიის ჩემპიონატი მოეგო:

– ძალიან კარგად ვთამაშობთ და ეს მიხარია. ვფიქრობ, რომ ცოტა ადრე რომ გადმოვსულიყავი მილანში, შესაძლოა სკუდეტოც მოგვეგო. ასაკის მიუხედავად, მაღალ დონეზე თამაში შემიძლია.

ჟუნინიომ ნეიმარი გააკრიტიკა

ყოფილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ჟუნინიო პერნანბუკანომ ნეიმარზე ისაუბრა და თქვა, რომ ნეიმარს მხოლოდ ფული აინტერესებს და სწორედ ამიტომ გადავიდა ის პსჟ-ში. ჟუნინიოს აზრით, ბრაზილიელი ფეხბურთელების უმრავლესობა მხოლოდ ფულზე ფიქრობს:

– ბრაზილიაში ფეხბურთელებს ძირითადად ფული აინტერესებთ, ევროპაში კი განსხვავებული მენტალიტეტია. თუნდაც ნეიმარი ავიღოთ, ის პსჟ-ში ფულის გამო გადავიდა, როდესაც ბარსელონაში უკვე ყველაფერი ჰქონდა.

რიბერის ფიორენტინას ფანები გაუნაწყენდნენ

ფრენკ რიბერის სახლი ფლორენციაში გაქურდეს და ამის გამო რიბერიმ საკმაოდ მწვავე განცხადება გააკეთა, რომელშიც თქვა, რომ იტალიაში და, კერძოდ, ფლორენციაში ცხოვრება უსაფრთხო არ არის.

ეს ფიორენტინას ფანებს არ მოეწონათ და მათ ასევე გაავრცელეს განცხადება და რიბერის ენის დამოკლებისკენ მოუწოდეს.

ფანებმა რიბერის ასევე ურჩიეს, რომ მან იტალიის მიმართ მეტი პატივისცემა გამოიჩინოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ლატარიაში გამარჯვებულმა მძღოლმა ხუთი ადამიანი იმსხვერპლა

განას ქალაქ ტეგების მკვიდრმა მანქანით ხუთ ადამიანი მას შემდეგ იმსხვერპლა, როდესაც ლატარიაში გამარჯვების აღნიშვნა გადაწყვიტა.

ვისდომ კპოდომ ლატარიაში 1,2 ათასი განური სედი მოიგო. მან მეგობრისგან მანქანა ითხოვა და მოგების აღსანიშნავად წავიდა. გზად ის შეეცადა დიდი სისწრაფით გაესწრო მოტოციკლისა და ტაქსისთვის, მაგრამ მანქანის საჭე ვეღარ დაიმორჩილა და სახლს დაეჯახა. შენობაში იმ მომენტში 41 წლის ქალი იმყოფებოდა თავის სამ გოგონასა და 70 წლის ქალთან ერთად. ყველანი ადგილზევე დაიღუპნენ.

კპოდომ შემთხვევის ადგილიდან მიმალვა სცადა, თუმცა მოგვიანებით თავადვე გამოცხადდა პოლიციაში. ავტომობილში, რომელსაც ის მართავდა, პოლიციამ მაგარი აღკოჰოლური სასმელების ბოთლები აღმოაჩინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 ივლისისთვის

ვერძი – დღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ეცადეთ, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ. ** კურო** – ელოდეთ სასიამოვნო სიურპრიზს. შესაფერისი დღეა პირად ცხოვრებაში ცვლილებების შესატანად. **ტყუპები** – ნუ იქნებით კატეგორიული. მეტი თავშეკავება, სირბილე და დათმობის უნარი გჭირდებათ. **კირჩხიბი** – საქმიანი ურთიერთობები კმაყოფილებას ვერ მოგგვრით. ეცადეთ, თავი შეიკავოთ ემოციების გამოვლენისაგან. **ლომი** – მოულოდნელი ინფორმაცია მთელ გეგმებს თავდაყირა დაგიყენებთ. იოლად არავის მიენდოთ. **ქალწული** – კეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერ პრობლემას ძალდაუტანებლად და იოლად აგვარებთ. წინასწარ ნურაფერს დაგეგმავთ. **სასწორი** – პრობლემები არ გაწუხებთ. მთავარია, არ დაიბნეთ და გადაწყვეტილებები ნათელი გონებით მიიღოთ. **ღრიანკალი** – ემოციები მძლავრობს. დამშვიდდით და მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **მშვილდოსანი** – ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად აგიმაღლდებათ. სასიამოვნო ინფორმაციას ელოდეთ. **თხის რქა** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და თანხმობა. ეცადეთ, საყვარელ ადამიანთან მეტი დრო გაატაროთ. **მერწყული** – პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა არ გარგებთ. ეცადეთ, განმარტოვდეთ და სულიერი სიმშვიდე მოიპოვოთ. **თევზები** – ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, რაც მომავალ წარმატებას ხელს შეუწყობს, თუმცაღა, წინდახედულობა მაინც გმართებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

•••

გაუპატიურების საქმის გამოძიება მიმდინარეობს. გამომძიებელი დაზარალებულს ეკითხება:

– როგორ მოხდა ყველაფერი?

– მან უხეშად გამაძრო ტანსაცმელი და გაუპატიურება დამიწყო.

– და როგორ?

– მე ზევიდან, ის ქვევიდან...

•••

სამსახურიდან სახლში დაბრუნებულ მამას ბავშვი კართან შეეგება და ეკითხება:

– გამარჯობა, მამიკო! რა მომიტანე?

– არა, შვილო, დღეს არაფერი მომიტანია...

ბავშვი შეტრიალდა და სამზარეულოში მყოფ დედას ცივად გასძახა:

– მიდი, შეეგებე, შენი ქმარი მოვიდა!

•••

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– წუხელის საშინელი სიზმარი ვნახე...

– მაინც რა დაგესიზმრა ასეთი?

– ვითომ თითი პირში შევიყავი და იქ ერთი კბილიც კი აღარ მქონდა!

– ალბათ თითი სხვაგან შეიყავი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ირმა გიგანი გია ყანჩელისადმი მიძღვნილ კონცერტზე დაუკრავს

პიანისტი ირმა გიგანი ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტზე დაუკრავს.

ინფორმაცია პიანისტმა თავად გაავრცელა:

– სიხარულით მინდა გაგიზიაროთ, რომ 9 ოქტომბერს, კიევის ფილარმონიაში დავუკრავ არაჩვეულებრივი მიხეილ მენაბდეს დირიჟორობით კიევის აკადემიურ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გია ყანჩელის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე, სადაც შევასრულებ ბეთჰოვენის მესამე კონცერტს.

მსახიობი გოვენ ჭეიშვილი გარდაიცვალა

საქართველოს დამსახურებული არტისტი, მსახიობი გოვენ ჭეიშვილი 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. მის მიერ შესრულებული როლებიდან მაყურებელს განსაკუთრებით დაამახსოვრდა ხუტა უფროსის როლი ფილმიდან „რეკორდი“, ხოლო მისი ფრაზა „შეიგინე, მე შენ გელაპარაკები“ – დღემდე აქტუალურია.

სამწუხარო ინფორმაცია რეჟისორმა ქეთი დოლიძემ გაავრცელა:

– გარდაიცვალა გოვენ ჭეიშვილი, ქართული კინოს გამორჩეული მსახიობი, კეთილი კაცი, ჩემი აღზრდილის, ნიჭიერი მსახიობის, ილია ჭეიშვილის მამა!

მრავალი სახე შექმნა და მუდამ დარჩება ქართული კინოს ისტორიაში!

ღმერთმა გაანათლოს! ვუთანაგრძნობ ოჯახს!

ბესიკ დუღაშვილს სოციალურად დაუცველების სწავლებაზე უარი უთხრეს

მხატვარ ბესიკ დუღაშვილს, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებს ხატვის უფასოდ შესწავლას სთავაზობს, კულტურის სამინისტრომ უარი უთხრა:

– ჩემთან, სტუდიაში, ერთი ბავშვის სწავლა წელიწადში, თავის ინვენტარიანად ჯდება 850 ლარი.

წელს კულტურის სამინისტრომ ჩემი პროექტის, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვების ჩემს სტუდიაში სწავლის დაფინანსებას ეხებოდა, უგულებელყო!

ამ ეტაპზე ლოდინის რეჟიმში მყავს 2 ბავშვი!

ვეძებ სპონსორს, თუნდაც ამ 2 ბავშვის დასაფინანსებლად!

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – ბრავო! ასე გააგრძელეთ!

გოგა ჩანადირი: „საქართველოში ქალების კულტის არსებობა ყალბია“

ასე მიაჩნია ფოტოხელოვან გოგა ჩანადირს და საკუთარ მოსაზრებას ქართველი კაცების მიერ მოკლული ქალების შემაშფოთებელი სტატისტიკით ხსნის:

– სამწუხაროდ, საქართველოში ქალების კულტის არსებობა ყალბია, ხოლო მათი სადღეგრძელოების წარმოთქმა, განსხვავებულით დალევა და ფეხზე წამოდგომა სპექტაკლია.

თამარის მეფობითა და წმინდა ნინოს მიერ ერის გაქრისტიანებით საქართველოში ქალების როლის აღიარება საკმარისი არგუმენტი არ არის.

უნდა ვაღიაროთ, რომ ქალებზე ისევ ძალადობენ, ქმრები მათ კლავენ იმის გამო, რასაც საკუთარ თავს პატიობენ, ცოლებს კი – არა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ის, რაც ეპატიებათ კაც მძღოლებს, ქალებს არ ვპატიობთ, რის გამოც კაცი არ განიკიცხება, ქალი განიკიცხება.

უნდა ვაღიაროთ, რომ ქალებსა და კაცებს შორის უთანასწორო მდგომარეობაა სამსახურებში ხელფასის მხრივ ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ.

უნდა ვაღიაროთ, რომ ქალს ყველაფრის უფლება არ აქვს, მაშინ როცა, ყველაფრის უფლება აქვს კაცს.

უნდა ვაღიაროთ, რომ ქალთა უფლებები საკმარისად დაცული არ არის.

ვიდრე არ ვაღიარებთ, ქმრები ყოველთვის მოკლავენ ცოლებს.

და ეს ცოლები ჩვენი დედები, დები, შვილები, დეიდები, ბიცოლები, მამიდები, მეგობრები, მეზობლები არიან.

გუგლმა და ხელოვნების სასახლემ ერთობლივი ვირტუალური გამოფენა მოაწყვეს

გუგლის ხელოვნების და კულტურის ინსტიტუტმა ხელოვნების სასახლესთან ერთად ახალი გამოფენა მოამზადა.

საქართველოს ხელოვნების სასახლე ერთადერთი მუზეუმია საქართველოში, რომელიც თანამშრომლობს გუგლის ხელოვნების და კულტურის ინსტიტუტთან. მათი ერთობლივი თანამშრომლობით მომზადდა რიგით მეათე ვირტუალური გამოფენა.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოღვაწე პოლონური წარმოშობის დებმა თავიანთი შესანიშნავი ხელწერით ქართული ხელოვნების ისტორიაში მოდერნიზმის უმნიშვნელოვანესი ნიმუშები დატოვეს. დები ფლორენსკების ნამუშევრები გამოფენილია რუსეთსა და ევროპაში, თუმცა გუგლის ონლაინ პლატფორმაზე შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ მსურველს იხილოს დღემდე უცნობი და საინტერესო ნიმუშები მათი კოლექციიდან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ჩეჩნეთის მეორე სახელწოდება; 2. უდაბნოდან მონაბერი ცხელი ქარი; 3. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 4. მხარე ავსტრიაში; 5. უკრაინის პრეზიდენტი; 7. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 11. შევარდენისნაირთა ოჯახის ფრინველი; 13. ივნისის თვის ქართული სახელწოდება; 15. მოედანი სამხედრო-სამწყობრო ვარჯიშებისთვის; 16. წიაღისეულით მდიდარი ზღვის თხელწყლიანი სანაპირო ზოლი; 18. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 19. კოვბოების შეჯიბრი.

თარაზულად: 6. ნიადაგის ღრმად გამაფხვიერებელი კულტივატორი; 8. თანამდებობების ყიდვა-გაყიდვა კათოლიკურ ეკლესიაში ძველად; 9. ქართული კონიაკი; 10. ლითონის ფულის ერთ-ერთი მხარე; 12. ქალის ძვირფასთვლებიანი ყელსაბამი; 14. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 17. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 20. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 21. ქართული რადიო; 22. ზოგიერთი მცენარის მიწისქვეშა გამსხვილებული ღერო; 23. ქალაქ ფოთის პირველი მერი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა